გაზეთი ზევრის, „ვერსიის" ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№93 (988) 3 - 5 ოქტომბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## გაკვეთილებს კამერით გადაიღებენ?!



გვ. 6

რას შეცვლის ახალი სქემა განათლების სისტემაში

# სახიფათო ზღვარზე

საპროტესტო-სოლიდარობის აქციები შეხლა-შემოხლის, გინების, ბოთლების, კვერცხების, პომიდვრებისა და წყლით სავსე პრეზერვატივების ფონზე

გვ. 3



## სპეციალური რეპორტაჟი



## „ნეო-კლინიკაში" თურქი ექიმები, კვირაში სამი დღე, უნიკალურ პროცედურებს ჩაატარებენ!

გვ. 7

## SOS საინგილოში ქართული სკოლები იხურება

„მშობლიურ ენას სამუდამოდ დავკარგავთ და ქართველობასაც ველარ შევინარჩუნებთ!"

გვ. 9

## ექსკლუზიური ინტერვიუ სალომე ზურაბიშვილთან



რა კითხვები აქვს ხელისუფლებასთან, რატომ დაემსგავსა პოლიტიკა ფარსს და გააქტიურდება თუ არა პოლიტიკურად საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი

გვ. 5

## „მაზავუშკიკები" პარლამენტსა და საკრებულოში



თბილისის „დინამოს" კაპიტნის „აღიარებითი ჩვენება"

**პატიმრის დღიური**

გვ. 8

## მანანა კობახიძე მთავარ პროკურორს მიმართავს

„გამოიძიონ, ვინ დაანგრია პარლამენტის შენობა თბილისში... პარლამენტის მაშინდელმა თავმჯდომარემ სახელმწიფოს კუთვნილი ქონების განადგურებაზე პასუხი უნდა აგოს!"



გვ. 4



# ალექსანდრე ჭიკაიძემ საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო სექტორი გახსნა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესამე სამმართველო „წითელი ხიდის“ მეცხრე სექტორ „ვახტანგისის“ შენობა საზეიმოდ გახსნა. გახსნის ცერემონიას სასაზღვრო პოლიციის უფროსი გენერალ-მაიორი ზურაბ გამეზარდაშვილი, უწყების სხვა წარმომადგენლებსა და ოფიციალურ პირებთან ერთად დაესწრო. სექტორი „ვახტანგისი“ საქართველო-აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარზე მდებარეობს.

სასაზღვრო სექტორის ახალი შენობა ევროპული სტანდარტების მიხედვითაა აშენებული. ინფრასტრუქტურა უახლესი ტექნოლოგიებით მოეწყო და აღჭურვილია სხვადასხვა სახის თანამედროვე აპარატურით. სასაზღვრო სექტორი ადგილობრივმა მოსახლეობამ დაათვალიერა და ახალი ინფრასტრუქტურით კმაყოფილი დარჩა.

გასულ კვირას შინაგან საქმეთა მინისტრმა, ალექსანდრე ჭიკაიძემ სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიციის მესამე სამმართველოს მე-4 სექტორ „ახკერპის“ და მე-5 სექტორ „ბურდაზორის“ შენობები გახსნა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტია მესაზღვრეების სამუშაო პირობების გაუმჯობესება. 2014 წლის თებერვლიდან, სახელმწიფო საზღვრის დამცველებს ხელფასები მნიშვნელოვნად გაეზარდათ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ სასაზღვრო პოლიციას დამატებითი სახსრები გამოუყო საქართველო-რუსეთის ფედერაციის, საქართველო-აზერბაიჯანის რესპუბლიკის და საქართველო-სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარზე ახალი სექტორების მშენებლობისთვის.

საქართველო-რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთზე აშენებულია 3 სასაზღვრო სექტორი. საქართველო-აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთზე აშენებულია 2 სასაზღვრო სექტორი. საქართველო-სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთზე აშენებულია 4 სასაზღვრო სექტორი. საქართველო-თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთზე აშენებულია 1 სასაზღვრო სექტორი. 2014 წლის ბოლოსთვის 6 ახალი სასაზღვრო სექტორის მშენებლობა დაიგეგმა.

*„ვერსიანიუსი“*

# საქართველოს პატრიარქის ძმა სამთავროს მონასტრის ეზოში დაკრძალეს



დაკრძალვამდე გარდაცვლილის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, მღვდელმთავრებსა და სასულიერო პირებთან ერთად გადაიხადა. პანაშვიდის დროს, ტაძარში პატრიარქისა და ოჯახის წევრებისთვის მისასამძიმრებლად პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე იმყოფებოდნენ. პანაშვიდის ბოლოს პატრიარქმა უფალს შესთხოვა, ბერი გიორგის სული ცათა სასუფეველში, წმინდანთა შორის დაამკვიდროს. უწმინდესმა სამოქალაქო პანაშვიდზე მისულებს მადლობაც გადაუხადა.

სამთავროს დედათა მონასტრის ფერისცვალების ტაძარში ასევე იმყოფებოდნენ საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, დედაქალაქის მერი დავით ნარმანია, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.

რამდენიმე მეუფის მიერ შესრულდა პანაშვიდი და გარდაცვლილის სულის მოსახსენიებლად აღევლინა წირვა.

ბერი გიორგი (ვიქტორ შიოლაშვილი) პატრიარქმა ბერად 2013 წლის 4 სექტემბერს აღკვეცა. იგი მცხეთის წმინდა გიორგის სახელობის მონასტერში განამწესეს.

*„ინტერპრესნიუსი“*

# თბილისში, შესაძლოა, ავტობუსების მწარმოებელი ქარხანა აშენდეს



ამასთან დაკავშირებით წინადადება კომპანია „ა.ს ჯგუფი 1990“-ის დირექტორმა ავთანდილ საყვარელიძემ საკრებულოს ურბანული დაგეგმარების კომისიის სხდომაზე წარადგინა. საყვარელიძის თქმით, ქარხანა ყოფილი რადიოქარხნის ტერიტორიაზე აშენდება, რაშიც 30 მილიონიანი ინვესტიციის ჩადებას ჩინური კომპანია „გოლდენ დრაგონი“ „ა.ს. ჯგუფი 1990“-ის მეშვეობით გეგმავს: **„განხორციელდება 30 მლნ დოლარზე მეტი ინვესტიცია, დასაქმდება 1500 ადამიანი. გამოვა მსოფლიოში უმაღლესი სერტიფიკატებით აღჭურვილი ავტობუსი, რომელიც გაიყიდება როგორც საექსპორტოდ, ისე შიდა ბაზარზე“.**

საყვარელიძის ინიციატივა კომისიის თავმჯდომარემ დადებითად შეაფასა. გოჩა ბაბუნაშვილის განცხადებით: **„კომისიამ იმსჯელა ამ საკითხზე და დადებითი რეკომენდაცია მისცა. თუ გამოცხადდება ტენდერი, საერთო მოთხოვნები იქნება ყველას მიმართ, რაც დღეს სჭირდება დედაქალაქს. ეს არის გამართული ავტობუსები, ზამთარში გათბობით, ზაფხულში კონდიცირებით და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ადაპტირებული“.**

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებიც. სევდია უგრეხელიძე არ გამორიცხავს, თბილისის ავტოპარკის განახლებისას სატენდერო პირობები „გოლდენ დრაგონზე“ იყოს მორგებული.

*„ინტერპრესნიუსი“*

# სოფელ დვაბზუში ქმარმა ცოლი მოკლა, შემდეგ კი სახლს ცეცხლი წაუკიდა




ტრაგედია მოხდა ოზურგეთის რაიონის სოფელ დვაბზუში. ქმარმა ცოლი მოკლა, შემდეგ კი სახლს, სადაც გვამი იყო, ცეცხლი წაუკიდა.

შსს-ს გურიის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს და გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1974 წელს დაბადებული თემურ რ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა ოზურგეთის რაიონის სოფელ დვაბზუში, ეჭვიანობის ნიადაგზე, საკუთარ მეუღლეს — 1985 წელს დაბადებულ ნატალია რ-ს თავის არეში ნაჯახით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა, რის შედეგადაც ქალბატონი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა თემურ რ. სოფელ დვაბზუში, მომხდარიდან რამდენიმე წუთში, იმ დროს დააკავეს, როდესაც ის მიმალვას ცდილობდა. დანაშაულის ჩადენის იარაღი — ნაჯახი შემთხვევის ადგილიდან ნივთმტკიცებად ამოიღეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით).

*„ვერსიანიუსი“*

# ვალეს საბაჟო გამშვებ პუნქტზე ფსიქოტროპული პრეპარატები აღმოაჩინეს



„ვალეს“ საბაჟო გამშვებ პუნქტზე ფსიქოტროპული პრეპარატების ქვეყანაში შემოტანის მცდელობის 2 ფაქტი გამოვლინდა.

კერძოდ, თურქეთიდან შემომავალი, საქართველოს მოქალაქის, ხ.თ-ს ბარგის საბაჟო დათვალიერებისას, შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა ფსიქოტროპული ნივთიერებების შემცველი მედიკამენტი, 100 აბი „ქლორდიაზეპოქსიდი“ აღმოაჩინეს. ამ პრეპარატის რეცეპტის გარეშე ქვეყნის ტერიტორიაზე შემოტანა, კანონით აკრძალულია.

ვალეს საბაჟო გამშვებ პუნქტზე „ქლორდიაზეპოქსიდის“ ქვეყანაში შემოტანის კიდევ ერთი ფაქტი დაფიქსირდა. კვლავ 100 აბი ფსიქოტროპული პრეპარატი ამჯერადაც საქართველოს მოქალაქე ი.ფ-ს შემოჰქონდა.

გამოვლენილი ფაქტების შესახებ საქმის მასალები შემდგომი რეაგირებისთვის შსს სამცხე-ჯავახეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო განყოფილებას გადაეცა.

*„პირველი“*

# კადეტთა სამხედრო ლიცეუმს გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელი მიენიჭა



ამიერიდან, კადეტთა სამხედრო ლიცეუმი გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელს ატარებს. საზეიმო ღონისძიება სამხედრო სასწავლებლის სამწყობრო მოედანზე გაიმართა.

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ალასანიამ მოედანზე შეკრებილ პირად შემადგენლობას ლიცეუმისთვის გენერალ კვინიტაძის სახელის მინიჭება მიულოცა. კადეტებს სიტყვით მიმართეს ასევე საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ და პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა.

ცერემონიალზე თავდაცვის მინისტრის ბრძანებით „გენერალ კვინიტაძის“ მედლით 10 სამხედრო მოსამსახურე დაჯილდოვდა. ასევე, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას გამოჩენილი მაღალი პროფესიონალიზმისთვის, თავდაცვის მინისტრის სახელით, კადეტთა ლიცეუმის 20 პედაგოგსა და ინსტრუქტორს საპატიო სიგელი გადაეცა.

თავდაცვის სამინისტროს სამხედრო სასულე ორკესტრმა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი შეასრულა. ღონისძიებაზე პირადმა შემადგენლობამ და მოწვეულმა სტუმრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლასა და სამშვიდობო მისიის დროს დაღუპულთა ხსოვნას.

ღონისძიებას თავდაცვის უწყების ხელმძღვანელი პირები, საკანონმდებლო ორგანოსა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ. საზეიმო ცერემონიალზე მიწვეულნი იყვნენ კადეტთა ოჯახის წევრებიც.

*„პირველი“*

# ავღანეთში ქართველი სამხედროები დააჯილდოვეს



ყანდაღარის საავიაციო ბაზაზე საქართველოს შეიარაღებული ძალების სამთო-სადაზვერვო ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეთა დაჯილდოების მორიგი ცერემონიალი გაიმართა.

ბატალიონის პირად შემადგენლობას ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მედალი სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობისთვის ISAF-ის სამხრეთის რეგიონული სარდლობის ხელმძღვანელმა პირადად გადასცა.

ღონისძიებაზე გენერალ-მაიორმა მაიკლ ბილსმა ქართველ სამხედროებს სიტყვით მიმართა და საერთაშორისო მისიაში წარმატებული მონაწილეობისთვის მადლობა გადაუხადა. მან ავღანეთის საავიაციო ბაზის დაცვის მნიშვნელობასა და ამ პროცესში ქართველი სამხედროების მიერ შეტანილ წვლილზე გაამახვილა ყურადღება. დაჯილდოების ცერემონიალს რეგიონული სარდლობა სამხრეთის მთავარი სერჟანტი, სერჟანტ-მაიორი ენდრიუ ბარტეკიც დაესწრო.

სამთო-სადაზვერვო ბატალიონი ყანდაღარის საავიაციო ბაზის დაცვის ამოცანებს ექვსი თვის განმავლობაში ასრულებდა. ქართველმა სამხედროებმა სამშვიდობო ამოცანა რამდენიმე მოწინავე ბაზაზეც განახორციელეს. სამთო-სადაზვევრო ბატალიონი ISAF-ის მისიას ეტაპობრივად ასრულებს. ბატალიონის ორი ქვედანაყოფი საქართველოში უკვე დაბრუნდა.

*„პირველი“*

ნინო კომახიძე
599-95-33-16

# სახიფათო ზღვარზე

## საპროტესტო-სოლიდარობის აქციები შეხლა-შემოხლის, გინების, ბოთლების, კვერცხების, პომიდვრებისა და წყლით სავსე პრეზერვატივების ფონზე



**ორი დღის წინ ნაცემი „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტის, ზაზა დავითაიას მხარდასაჭერად, 2 ოქტომბერს პეკინის ქუჩაზე მცირერიცხოვანი, მაგრამ შეიძლება ითქვას, სამარცხვინო აქცია გაიმართა, რადგან მედიის წარმომადგენლის ცემის ფაქტის გაპროტესტებასთან საერთო არაფერი ჰქონია. აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ პეკინზე მობილიზება დილიდან დაიწყო და 15:00 საათისთვის ასეთი სურათი მივიღეთ — 1 500 პოლიციელი ორ დაპირისპირებულ მხარეთა შორის, რომელთა აქტივისტების ჯამი, ალბათ, 500 კაციც არ იქნებოდა. ნაციონალური მოძრაობისა და „თავისუფალი ზონის“ ოფისთან რამდენიმე აქცია ერთდროულად დაიგეგმა: ერთი — საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული იდეის“ მიერ იყო ორგანიზებული, რომელიც გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტების დაგეგმილ აქციამდე ნახევარი საათით ადრე დაიწყო. მესამე აქცია კი „თავისუფალმა ზონამ“ დააანონსა. ორგანიზაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, ეს აქციები ივანიშვილ-ღარიბაშვილის მოწყობილია, ჩვენს გასანადგურებლადო და საკუთარ აქციას, საკუთარ ოფისთან, „არა პუტინის მონობას“ დაარქვეს.**

ვითარება 15:00 საათისთვის გახურდა, როცა ყველა მომსვლელი მოვიდა და ნაირ-ნაირი „პლაკატებიც“ აფრიალდა: „ნაციონალური მოძრაობა — ნეოფაშისტები“, „ძირს მეხუთე კოლონა — ნაციონალები“ და ა.შ. მეორე მხრიდან კი „ზონელებმა“ მოწინააღმდეგეებს 10 თვის დაღუპული ბავშვის, ბარბარე რაფალიანცის გადიდებული სურათი შეაგებეს და სამწუხაროდ, პოლიტიკურ დაპირისპირებაში კონკრეტული ოჯახის ტრაგედია კიდევ ერთხელ გამოიყენეს. ამასობაში, პეკინის ქუჩაც გადაიკეტა და აქციის მონაწილეებს შორის დაპირისპირება გამწვავდა. მოვლენების ესკალაციამდე „ვერსია“ აქციის ერთ-ერთ ორგანიზატორ ქალბატონს ესაუბრა, რომელმაც თავი გოდერძი ოთარაშვილის ორგანიზაციის, „სრულიად საქართველოს სახალხო დარბაზის“, იდეოლოგიური სამსახურის უფროსად გაგვაცნო და პოლიტიკური მოთხოვნებიც გააჟღერა. **თინათინ გოგრაშვილი: „ძალადობასა და ტერორს არა 2012 წლის 1-ელ ოქტომბერს ვუთხარით, როცა ნაციონალური მოძრაობა, ეს ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფება ქვეყნის სათავიდან გავუშვით. 2 წელია ყველანი ვხედავთ, რომ ნაციონალებთან ცივილურმა ურთიერთობამ შედეგი არ გამოიღო. კოჰაბიტაციის გამო მოსახლეობა შეურაცხყოფილი და იმედგაცრუებულია, ჟურნალისტი ზაზა დავითაია კი — ნაცემი. ნამდვილად ვერ დაველოდებით, როდის დაიგეგმება ნებისმიერი ჩვენგანის ლიკვიდაცია, ამიტომ „სრულიად საქართველოს სახალხო დარბაზი“ მოითხოვს მარტო თავისუფალი ზონის კი არა, ნაციონალური მოძრაობის გაუქმებას“.** ამ მოთხოვნას მასთან ერთად, რამდენიმე ცნობილი სახეც იზიარებდა: გია კორკოტაშვილი, მელორ ვაჩნაძე, რეზო ამაშუკელი, დიმიტრი ლორთქიფანიძე, ლადო სადღობელაშვილი, სერგო ჯავახიძე, თემურ შაშიაშვილის პარტიის წევრი ზურაბ ხასია, საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატი სოსო მანჯავიძე და სხვები. მიუხედავად იმისა, რომ ეს ხალხი მხარდაჭერას „ასავალ-დასავალის“ ნაცემ ჟურნალისტს უცხადებდა, ზოგადად, მხარდამჭერი მოწოდებები იქ, ალბათ, არავის მოუსმენია — ორივე მხარე, სრული 2 საათის განმავლობაში, ერთმანეთს უცენზურო სიტყვებით მიმართავდა და ხან სამი თითის კომბინაციას უჩვენებდა, ხანაც წყლით სავსე პრეზერვატივებს. ბარიკადებს მიღმა, ე.წ. ნაციონალების ფლანგზეც მობილიზაცია გამოცხადდა — ახალგაზრდული მოძრაობის ლიდერებსა და „ზონელების“ აქტივისტებს მითითებებს, პირველ რიგში, „თავისუფალი ზონის“ თავმჯდომარე კობა ხაბაზი აძლევდა, მის გვერდით კი გიგა ბოკერიას, ლევან თარხნიშვილს, კობა ხაბაზს, ნიკა მელიას, გიორგი კარბელაშვილს, დავით დარჩიაშვილსა და პარტიის სხვა წევრებსაც იხილავდით. კობა ხაბაზი, ძირითადად, ემოციამოჭარბებულ ახალგაზრდებს აშოშმინებდა და პოლიციის მორჩილებისკენ მოუწოდებდა. ორგანიზაციის ლიდერი, ამჯერად, მობილიზებულ სამართალდამცავთა რაოდენობით კმაყოფილი ჩანდა, თუმცა „ვერსიასთან“ საუბრისას, მოვლენების განვითარებაზე პასუხისმგებლობა მთლიანად მეორე მხარეს დააკისრა. **კობა ხაბაზი: „ყველაფერი, რაც ამ აქციაზე ხდება და მოხდება, ბარიკადების მეორე მხარეს მყოფთა პასუხისმგებლობაა. ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია, საკუთარი ოფისი დავიცვათ, კმაყოფილი კი მაშინ ვიქნები, თუ პოლიცია თავის მოვალეობას ბოლომდე შეასრულებს“.**



ალბათ, პოლიციას თავისი მოვალეობა რომ არ შეესრულებინა, იმაზე გაცილებით მძიმე სურათს მივიღებდით, ვიდრე ბოთლების, კვერცხების, პომიდვრებისა და წყლით სავსე პრეზერვატივების სროლა იყო. ვითარება ყველაზე მეტად მაშინ დაიძაბა, როცა სიტყვით რეზო ამაშუკელი და სხვები გამოდიოდნენ, „ზონელები“ კი, მაია ორჯონიკიძის კარნახით სხვადასხვა შეურაცხმყოფელ ტექსტებს სკანდირებდნენ: „ხიხო, ხუილო“, „პუტინ ხუილო“, „ჰაკიმფაშისტებო“ „ივანიშვილის პინგვინებო“, „საქართველო მონების გარეშე“ და ა.შ. ისმოდა საკმაოდ პროვოკაციული მოწოდებებიც — აბა, სცადეთ და ახლოს მოდითო. ალბათ, განსაკუთრებულ ვაჟკაცობას იმ აქტივისტებს ნამდვილად ვერ მოვკითხავთ, ერთმანეთს შუათითაწეულები, დედის გინების ფონზე რომ ემუქრებოდნენ. ფაქტია, პოზიციები არც ერთ მხარეს დაუთმია და პოლიციის სამხაზიანი კორდონის გარღვევა რამდენჯერმე მაინც მოახერხეს. თუმცა ხელჩართული ჩხუბი მალევე განიმუხტა. მხოლოდ ერთი აქტივისტი დააპატიმრეს, ისიც ნაციონალების მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან. ამის შემდეგ, აქციას „ახალი სისხლი“ ლადო სადღობელაშვილმა გადაუსხა, რომელმაც ცოცხი მოიტანა და ააფრიალა! ნაციონალთა რიგებიდან ამ დროს, განსაკუთრებით, ყოფილი დეპუტატი მეგი გოცირიძე აქტიურობდა, რომელიც აქციაზე ცოცხის გამოჩენას, თავისდაუნებურად, გუნდის დამაზარალებელი ტექსტით შეხვდა: „ეგ ცოცხი გადამალეთ, ბაჩო ციხიდან გამოდის“ — ყვიროდა გოცირიძე და მისი მიმართულებით ნასროლ კვერცხებს მარჯვედ იცილებდა. ორად გაყოფილი აქცია, რომლის მონაწილეებსაც აშკარად დაავიწყდათ, ვინ რისთვის იყო მოსული და ვინ რას აპროტესტებდა, ნაციონალების კიდევ ერთმა ლიდერმა, **გიგა ბოკერიამ** შეაფასა: **„სახიფათო ზღვარს ვუახლოვდებით. ბიძინა ივანიშვილი გადავიდა სახიფათო ზღვარს. 2 წელია ვხედავთ, როგორ მიმდინარეობს ძალადობა, რომელიც სრულად დაუსჯელი რჩება და სწორედ ესაა ვითარების ესკალაციის მიზეზიც. ახლა ხელისუფლება ძალადობის ახალ საფეხურზეა — ეს არასასურველი ორგანიზაციების ოფისებში შევარდნაა. დიახ, ეს სახიფათო ზღვარია, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ ივანიშვილისა და მისი ხელისუფლებისთვის კი არა, მთელი ქვეყნისთვისაც! ამ აქციაზე ჩვენი მთავარი გზავნილი ხელისუფლების მიმართ ერთია — დროზე შეწყვიტონ ეს ძალადობა და გონს მოვიდნენ! ძალიან საშიში პროცესია არა ის, რომ ხალხის აზრი გაყოფილია, პირიქით, ეს დემოკრატიის პირობებში ნორნალურია, არამედ ის, რომ ოპონენტი ძალების მიმართ ძალადობა მუდმივად დაუსჯელი რჩება. ამ ძალების ოპონენტების წინააღმდეგ მიმართვა კი პუტინს ახასიათებს, რომელმაც მოწინააღმდეგეებს მსგავსი დაჯგუფებები შეუქმნა.“**

ამ შედარებების სისწორეს ყველა თავად შეაფასებს, თუმცა ცხადია ერთი რამ — ბარიკადებსმიღმა მყოფი გახლეჩილი ხალხი, რომელიც მხოლოდ ურთიერთშეურაცხყოფით იყო დაკავებული, არ გახლდათ და ვერც იქნებოდა ვინმეს მიმართ სოლიდარული. ეს იყო აქცია, სადაც არავის გახსენებია ნაცემი ზაზა დავითაია და მედიისა და თავისუფალი სიტყვის დასაცავად ხმა არავის ამოუღია. არასანქცირებული თავყრილობა კი 2 საათის შემდეგ, პატრულის რამდენიმე მანქანამ მშვიდობიანად დაშალა, უფრო სწორად, აქტივისტებს გზის სავალი ნაწილის გათავისუფლებისკენ მოუწოდა. აქციის მიმდინარეობისას მცხეთაში მყოფი პრემიერი **ირაკლი ღარიბაშვილი** კი მოვლენების განვითარებას ასე გამოეხმაურა: **„ეს არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ნაციონალური მოძრაობის ეგიდით მოქმედებენ, „ზონა“ თუ სხვა გაუგებარი ორგანიზაციები, დესტრუქციული ძალები არიან. ყოველ შემთხვევაში, მე მათ ქმედებაში დესტრუქციულ ხასიათს ვხედავ. ჟურნალისტს თავს დაესხნენ და პირდაპირ გაოგნებული ვარ, რომ ჟურნალისტებში არავითარი სოლიდარობა არ ჩანს. თუმცა, სოლიდარობა იმ დროს გამოჩნდა, როცა ერთ-ერთი ჟურნალისტის ძმამ ორი ტაქსი დააყაჩალა და ეს არავინ გააშუქა. სიმართლე ელაპარაკეთ ხალხს და სიცრუის ტირაჟირება შეწყვიტეთ“.**

**P.S. ზოგადად, სოლიდარობის ფორმას, ალბათ, ყველა მედიასაშუალება თავად ირჩევს. პეკინის ქუჩაზე განვითარებული მოვლენები და ბილწსიტყვაობით დაკავებული ხალხის თავყრილობა კი სოლიდარობის აქცია ნამდვილად არ ყოფილა და ამ აქციაზე მყოფი ჟურნალისტები ბარიკადების ვერცერთ მხარეს ვერ დავდგებოდით. ყველაზე დიდი სოლიდარობა ამ პროფესიაში, ალბათ, მოვლენების, თუნდაც ასეთი დაძაბულის, ეპიცენტრში ყოფნა და მისი ობიექტურად გაშუქებაა. „ვერსია“ გმობს ყოველგვარ ძალადობას, განსაკუთრებით კი ძალადობას ჟურნალისტების მიმართ, რაც წინა და ახალი ხელისუფლების საყვარელი სიტყვებით რომ ვთქვათ, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ნამდვილად „მავნე პრაქტიკაა“!**



ირინა არდაშელიას ფოტოები



# მანანა კობახიძე ხელისუფლებაში ყოფნის ორ წელს აფასებს

**„თქვენი გაზეთის მეშვეობით მთავარ პროკურორს მივმართავ — გამოიძიონ, ვინ დაანგრია პარლამენტის შენობა თბილისში, ვინ მოშალა გაყვანილობა, ვინ აყარა პარკეტი!“**

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**ხელისუფლებაში „ოცნების“ მოსვლიდან 2 წელი შესრულდა და დღეს ყველა განვლილი პერიოდის შეფასებითაა დაკავებული: ისიც, ვისაც ამ ცვლილებებისთვის არაფერი გაუკეთებია, ვინც კრიტიკის მორალური უფლება დაკარგა, ვინც პოლიტიკას მალევე გაერიდა და ხალხიც, რომელმაც ქვეყნის სათავეში ახალი ძალა მოიყვანა. „ვერსიისთვის“ კი ამ ორ წელს, საპარლამენტო ცხოვრებას, სახელისუფლო შტოებს შორის დაპირისპირებასა და ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებს პარტია „ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი და პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე აფასებს.**

**— ასოცირების ხელშეკრულებისა და გაერო-ს სამიტის მერე, პრემიერისა და პრეზიდენტის დავას ახლა დავოსის ფორუმის გამო ვისმენთ — არ არსებობს მექანიზმი, რომ თავიდანვე გაირკვეს, ვისი კომპეტენცია სად წასვლაა?**

— ეს ყველაფერი ქვეყანაში ვიღაცას კინკლაობა ჰგონია, მაგრამ შეიძლება, ქვეყნის გარეთ უფრო სერიოზულად ჩანს. პრემიერ-მინისტრს არ აქვს სურვილი, ვინმეს ფუნქციებში შეიჭრას ან პრეზიდენტის უფლებამოსილებებიდან რაიმე თავისკენ „გადაქაჩოს“. მას იმხელა ტვირთი აქვს აღებული, თავისიც ჰყოფნის. იგი კონფრონტაციულად არაა განწყობილი. მსურს, იგივე დამოკიდებულება ჰქონდეს პრეზიდენტს, მის გარემოცვასა და ადმინისტრაციას. ეკონომიკური ბლოკი და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება პრემიერის ტვირთია. ეს პასუხისმგებლობა, კონსტიტუციით, პრეზიდენტს არ აქვს, რაც მას უფრო კომფორტულ მდგომარეობაში აყენებს, ამიტომ გუნდს მხარი უნდა დაუჭიროს. ფაქტია, ბატონი გიორგი სწორედ ამ გუნდით გახდა პრეზიდენტი, დამოუკიდებელი კანდიდატი არ ყოფილა, მის უკან ივანიშვილის მიერ შექმნილი სერიოზული ძალა იდგა.

**— ეს გუნდიც ივანიშვილის ზურგით მოვიდა პარლამენტში, ასე რომ, მისი და პრეზიდენტის ლეგიტიმურობა, ამ კუთხით, იდენტურია.**

— ასეა, მაგრამ გიორგის კანდიდატურა სწორედ იმიტომ მოგვწონდა, რომ კონკრეტული პარტიის წევრი არ ყოფილა, თუმცა ეს არ ნიშნავს, გუნდურობის პრინციპი დაიკარგოს. პრემიერსა და მთავრობასთან შეთანხმების გარეშე რაიმე ხელშეკრულების დადება პრეზიდენტის უფლებამოსილებას სცდება. არ შეიძლება, მთავრობის იგნორირება და დამოუკიდებელი ნაბიჯების ისე გადადგმა. დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე გასატანი საკითხები პირდაპირ მთავრობის მეთაურის კომპეტენციაა. ხელოვნური ბარიერები და საჯარო დისკუსიები ამ თემაზე არასწორია. საქმის კეთებაში ხელი არ უნდა შეგვეშალოს!

**— გედევან ფოფხაძემ „ვერსიასთან“ ინტერვიუში განაცხადა, შეცდომა დავუშვით, როცა პრეზიდენტად გიორგი მარგველაშვილი ავირჩიეთო. თქვენც ასე ფიქრობთ?**

— გედიც სწორედ ამ გადმოსახედიდან საუბრობს, თუმცა არა მგონია, ამ თემის დრამატიზება ღირდეს. უკეთესია, იმაზე ვიფიქროთ, რაც შეიძლება სწრაფად და საბოლოოდ დავასრულოთ ამ საკითხების გარჩევა და დროის კარგვა. თუ პრეზიდენტს მართლაც კონკურენტული განწყობა ჰქონდა მთავრობასთან, მცდარი პოზიციაა. ჯობდა, თავიდანვე ეთქვა.

**— თუ ასეა, ბიძინა ივანიშვილმაც თავიდანვე იცოდა ეს და აქამდე ეთქვა.**

— დეპუტატები ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით ხოლმე, როცა ამ საკითხებზე კომენტარებს ვაკეთებთ. ირაკლი ღარიბაშვილი ჩემი პარტიის თავმჯდომარეა, მე კი ამ პარტიის პოლიტსაბჭოს წევრი ვარ. გასაკვირი ის იქნებოდა, მე და ჩემს თანაგუნდელებს სხვანაირი პოზიცია გვქონოდა. თანაც, ეს პირადი სიმპათიიდან კი არა, ობიექტური რეალობიდან გამომდინარეობს.

**— ურთიერთობას კიდევ ერთი საკითხი, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების დამტკიცება ძაბავს. პრეზიდენტს ორი კანდიდატურა უკვე ჩაუგდეთ, მან კი იგივე ხალხი მეორედ წარადგინა. კონსტიტუციაში ვადა გაწერილი არაა. თუ დათმობას არც ერთი აპირებთ, უზენაესი სასამართლოს გარეშე როდემდე ვიქნებით?**

— კანონით, თუ პარლამენტი ამ კანდიდატურებს მეორედაც ჩააგდებს, პრეზიდენტმა სხვები უნდა წარადგინოს, მაგრამ შესაძლოა, იგივე განმეორდეს. ნორმალური პოლიტიკური ცხოვრება იმასაც ითვალისწინებს, მსგავსი მნიშვნელობის საკითხებზე წინასწარი კონსულტაციები თუ აზრთა გაცვლა-გამოცვლა მოხდეს, გადაწყვეტილების მიღებამდე.

**— სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კანდიდატურები უნდა შეგითანხმოთ?**

— აზრთა შეჯერება და საკუთარ გუნდთან წინასწარი კონსულტაცია სავსებით მისაღებია. ახლა შეიძლება პრეზიდენტმა თქვას, მეტი რა კომუნიკაცია უნდა მქონოდა, უმრავლესობას კანდიდატურები გავუგზავნე და დიალოგი რა საჭიროაო. არადა, ეს ჯანსაღი პროცესია და არა ჩრდილოვანი პოლიტიკა ან კანონდარღვევა. მიუხედავად იმისა, რომ პრემიერის გუნდში ვარ, პრეზიდენტსაც ვგულშემატკივრობ და არ მინდა, ეს ყველაფერი ისე გაიგონ, თითქოს ვინმე სასამართლოში პოლიტიკურ გავლენას ამყარებს. ამ ვითარებიდან თუ არ გამოვედით, სულ იქნება უკანონო განაჩენები და პატიმრები. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები მიუკერძოებელი, გამოცდილი და სუფთა წარსულის პროფესიონალები უნდა იყვნენ.

**— პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი კანდიდატები ამ კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებენ?**

— კანდიდატურების წარდგენა პრეზიდენტის უფლებაა, მაგრამ გადაწყვეტილების მიღების ბერკეტი უმრავლესობას აქვს, ამიტომ წინასწარი კონსულტაცია უკეთესი იქნებოდა. ასეთი რამ კი არ ყოფილა, ყოველ შემთხვევაში, ასე ვიცი, ამიტომ შესაძლოა, უმრავლესობას ამ კანდიდატებზე საკმარისი ინფორმაცია არ ჰქონდა და აზრიც ამიტომ გაიყო. ან პროცესს ახლა თავიდან გავივლით და თუ ვინმეს კითხვის დასმა სურს, დასვამს. ღილაკზე თითის დამჭერები ვერ ვიქნებით! ჯერჯერობით, უმრავლესობას არანაირი გადაწყვეტილება არ მიუღია. დარწმუნებული ვარ, ღირსეულ კანდიდატებს დავამტკიცებთ.

**— პარლამენტის თემა გავაგრძელოთ, რადგან არაერთი ექსპერტი თბილისში თქვენს მუშაობას უკანონოდ მიიჩნევს, არგუმენტით — უზენაესმა სასამართლომ, რომლის ადგილი, კონსტიტუციით, ბათუმშია, პროცესები თბილისში რომ ატაროს და ბათუმში მხოლოდ ვერდიქტების გამოსატანად ჩავიდეს, სწორი იქნება?**

— საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა შენობა კიდევ აქვს? არა! თბილისში ეს შენობა პარლამენტის ბალანსზე ირიცხება. თუკი კომიტეტის სხდომებისთვის სხვადასხვა სასტუმროს ვქირაობდით, რატომ არ შეგვიძლია, პარლამენტის კუთვნილი შენობა გამოვიყენოთ? მეტიც, ქუთაისის პარლამენტი საერთოდ ჰაერშია გამოკიდებული და არავის ბალანსზე არ ირიცხება. დიახ, პარლამენტის ადგილი არის ქუთაისში, მაგრამ ორი დღის წინ კომიტეტს გასვლითი სხდომა ყაზბეგში ჰქონდა. არც ისაა გამორიცხული, კონკრეტული მიზეზების გამო, კომიტეტები სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ჩავატაროთ. კანონი არც გასვლითი სხდომების რაოდენობას მიდგენს ან მიკრძალავს.

**— მაშინ ირღვევა სამოქალაქო კოდექსი, რომლის მიხედვით, სადაც არის ადმინისტრაცია, იქ არის შენობის იურიდიული მისამართიც. პარლამენტის ადმინისტრაცია თბილისში გადმოვიდა, არადა, იურიდიული მისამართი ქუთაისია. არც აქაა დარღვევა?**

— არა, კანცელარია ჩვეულებრივად მუშაობს. პარლამენტის აპარატი აქაც არის და ქუთაისშიც. არც ხარჯები გაზრდილა — ბიუჯეტით, რა დაფინანსებაც ჰქონდა, იგივე აქვს. თუ ასეა, ქუთაისის შენობაში ისე შევედით, მისი მიღება-ჩაბარების აქტიც არ არსებობდა. მისი გუმბათი თავზე რომ დაგვმხობოდა, პასუხს ვინ აგებდა? შენობის ნაწილი დღესაც მოსაპირკეთებელია, ისიც საკითხავია, როგორ მოიძიეს ფინანსები მის ასაშენებლად. ეს დოკუმენტები პროკურატურაშია და იმედია რაღაც დასკვამდე მივლენ. ამ შენობას კი, თბილისში, წინა ხელისუფლება „ელიავადან“ მოყვანილ მუშებს ანგრევინებდა. თბილისის პარლამენტი სახლში არც უსუფაშვილს მიაქვს, არც კობახიძეს, თუმცა გარკვეული ინფორმაცია მოვიდა, ვიღაცამ კარი ჩამოხსნა და სახლში წაიღო, ვიღაცამ — უნიტაზიო.

**— ვინ?**

— არ ვიცი, მაგრამ ასე გაჟღერდა კულუარებში. როცა რაღაცას ანგრევ და ანადგურებ, ამ ქაოსით ვიღაც აუცილებლად ისარგებლებს. მთელი ეს პასუხისმგებლობა კი პარლამენტის მაშინდელ თავმჯდომარეს ეკისრება. დიახ, ეს მხოლოდ პოლიტიკური პასუხისმგებლობა არაა. იგი პასუხს ამ შენობის მატერიალურ მდგომარეობასა და მის განადგურებაზეც აგებს.

**— თუ ასეა, დავით ბაქრაძეს ქონებაზე რომ ედავებიან, თუ რამე ხელმოსაჭიდი არსებობს, ამ თემაზე დაეკითხათ, მით უმეტეს, კონტროლის პალატის დასკვნა, მთელ რიგ დარღვევებზე, უკვე დადებულია?**

— პროკურატურას ეს მასალები უკვე აქვს. ახლა მინდა, თქვენი გაზეთის მეშვეობით მთავარ პროკურორს მივმართო — კარგად შეისწავლონ და გამოიძიონ, ვინ დაანგრია პარლამენტის შენობა თბილისში, ვინ მოშალა გაყვანილობები, ვინ აყარა პარკეტი! პარლამენტის მაშინდელმა თავმჯდომარემ სახელმწიფოს კუთვნილი ქონების განადგურებაზე პასუხი უნდა აგოს!

**— ორწლიანი მმართველობით კმაყოფილი ხართ და თავად თუ აგებთ პასუხს ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე?**

— სახელმწიფო სისტემა დანაშაულზე იდგა და ფაქტია, დღეს ასე აღარ არის. დიდი მიღწევაა თუნდაც ჯანდაცვის სფეროში გატარებული ცვლილებები და უსამართლობაა, როცა ჩვენს სოციალურ პოლიტიკას ნაციონალური მოძრაობა აკრიტიკებს. ყველა არჩევნები ნორმალურ პირობებში ჩატარდა. არადა, ის დროც გვახსოვს, როგორ იგებდა პარტია არჩევნებს შევარდნაძის დროს ერთი ტომარა ფქვილით, სააკაშვილის დროს — სპეცრაზმით. როგორც იქნა, იქამდე მივედით, მშვიდობიანი არჩევნები ჩავატარეთ... თუმცა ქვეყანა ისევ უმწვავესი პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე დგას: დასაქმების პრობლემა, ინვესტიციების მოზიდვა, სტიქიური უბედურებები, რაც ყოველდღე მილიონობით ლარით გვაზარალებს. ჩემთვის ყველაზე მთავარი გამოწვევა სიდუხჭირეა, როცა 5 შვილის მამა მოდის და გეუბნება, დამეხმარეთ, თორემ ბენზინს გადავისხამო. ამ კაცს სოციალურ დახმარებას უნიშნავ, რომელსაც ვერ იღებს, რადგან ბანკში ყველა ანგარიში დაყადაღებული აქვს. ესაა ჩემთვის უმთავრესი პრობლემა და არა ის, ვინ რომელ ვიზიტზე წავა!

**— თავად კოალიციის გუნდშიც დიდი ხანია რყევებია: ჯერ კობა დავითაშვილი წავიდა, მერე გიორგი გაჩეჩილაძე, ახლა მურმან დუმბაძე, რომელიც არც ვიცე-სპიკერობიდან გადაგიყენებიათ. როგორც ბევრი ვარაუდობს, კოალიცია იშლება?**

— მურმან დუმბაძესთან დაკავშირებით კონკრეტული გადაწყვეტილება არ მიგვიღია. მის ადგილას, ვიცე-სპიკერობიდან თავად გადავდგებოდი. ეს უფრო სწორი, ლოგიკური და მიზანშეწონილი იქნებოდა, მაგრამ ჩანს, პოზიციის დათმობა არ სურს. არა მგონია ნაციონალებს შეეკრას, თუმცა რომელ პარტიაში იქნება, ნაკლებად მაინტერესებს. რაც შეეხება გუნდში მიმდინარე პროცესებს, ჩვენ უკვე გადაწყვეტილი გვაქვს, რომ 2016 წლის არჩევნებზე კოალიცია ისევ ერთად იბრძოლებს. დაშლის წინაპირობა არ არსებობს და რამდენიმე წევრის გათიშვა კოალიციას საფრთხეს არ უქმნის. თანაც, სახალხო პარტია და „მწვანეები“ კოალიციაში არ ყოფილან. გუნდი ერთიანია და თუ საკუთარ თავს არ დავუშავეთ რამე, არა მგონია, ოპოზიციამ გვაჯობოს.

ვერსიანიუსი

## ზურა კიწმარიშვილს მასალების გაცნობის საშუალება მისცეს, თუმცა დაზარალებულის უფლებამონაცვლედ არ სცნეს



საქართველოს პროკურატურამ ეროსი კიწმარიშვილის ძმის ზურაბ კიწმარიშვილის მოთხოვნა დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის ნაწილში არ დააკმაყოფილა.

პროკურატურის ინფორმაციით: **„მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს დაზარალებულის უფლებამონაცვლედ პირის ცნობის ორ წინაპირობას: ახლო ნათესაური კავშირი გარდაცვლილთან და გარდაცვლილის მიმართ მესამე პირის მიერ დანაშაულის ჩადენას. შესაბამისად, პირის დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობისათვის აუცილებელია დანაშაულის ჩადენის ფაქტის დადგენა, რის გარეშეც კანონი პირის დაზარალებულად ცნობის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. გამოძიების ამ ეტაპზე საქმეზე მოპოვებული ასეულობით მოწმეთა ჩვენებებზე, დოკუმენტაციაზე, ვიდეოჩანაწერებზე, ნივთიერ მტკიცებულებებსა და ათეულობით ექსპერტიზის დასკვნაზე დაყრდნობით არ არის გამოკვეთილი რაიმე გარემოება, რაც მოგვცემდა საფუძველს დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალება გამოწვეულია სხვა პირის დანაშაულებრივი ქმედებით. შესაბამისად, ამ ეტაპისთვის არ არსებობს კანონით გათვალისწინებული საფუძველი ზურაბ კიწმარიშვილის დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობისათვის, რის გამოც მისი მოთხოვნა ამ ნაწილში ვერ დაკმაყოფილდება“.**

უწყების ოფიციალური განცხადების თანახმად, საგამოძიებო უწყებამ გამოიჩინა კეთილი ნება და ზურა კიწმარიშვილს, ადვოკატსა და საქმეში ჩართულ ექსპერტებს საქმის მასალების სრულიად გაცნობის შესაძლებლობა მიეცათ: **„პროკურატურაში მიმდინარე გამოძიებასთან დაკავშირებით ეროსი კიწმარიშვილის ოჯახის და საზოგადოების მაღალი ინტერესის გათვალისწინებით და გამოძიების მიმდინარეობის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, პროკურატურამ გამოიჩინა კეთილი ნება და მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ ე. კიწმარიშვილის ძმას ზურაბ კიწმარიშვილს მიეცეს საქმის მასალების სრულად გაცნობის შესაძლებლობა, რითაც მისთვის ფაქტობრივად უზრუნველყოფილი იქნება საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული დაზარალებულის უფლებები“.** საქართველოს პროკურატურა აგრძელებს გამოძიებას ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების საქმეზე და მიმდინარე ყველა ექსპერტიზის დასრულების შემდეგ, გეგმავს, რომ უახლოეს მომავალში საქმის მასალებისა და გამოძიების შედეგების გასაჯაროება მოახდინოს.

*„პირველი“*

# ექსკლუზიური ინტერვიუ სალომე ზურაბიშვილთან

რუსუდან შელია
557-100-768

**„ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას კი არა ქვეყანაში არსებულ პრობლემებს უნდა მივხედოთ“, — ამ სიტყვებით ეხმაურება ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციას საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი. საერთაშორისო პარტნიორების რეკომენდაციების ფონზე, პირადად მასაც საქართველოს ხელისუფლებასთან კითხვები მრავლად დაუგროვდა. „ვერსია“ გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს სალომე ზურაბიშვილთან, რომელიც ამ ეტაპზე, პოლიტიკაში გააქტიურებას არ გეგმავს და პოლიტიკური სისტემის სრულყოფილად ჩამოყალიბებას ელოდება.**



## რა კითხვები აქვს ხელისუფლებასთან, რატომ დაემსგავსა პოლიტიკა ფარსს და გააქტიურდება თუ არა პოლიტიკურად საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი

— ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას კი არა, ქვეყანაში არსებულ პრობლემებს უნდა მივხედოთ. სწორედ ქვეყნის შიდაპოლიტიკაა მოსაგვარებელი.

საქართველოში პოლიტიკური პროცესი მკვდარია. რაც ახლა ხდება სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილს კი არა, ხალხის გართობას უფრო ჰგავს. ნორმალურ ქვეყანაში მთავრობა, პარლამენტი და პრეზიდენტი იმაზე მსჯელობს, როგორ უნდა გადაიჭრას პრობლემები, რა გზას ადგას სახელმწიფო და რა პრიორიტეტები არსებობს. აქ კი, პირადად მე, ვერ გეტყვით სამ სერიოზულ პოლიტიკურ პრობლემას, რომელზეც ხელისუფლებაში მსჯელობენ.

გამონაკლისად მხოლოდ დავით სერგეენკოს დასახელება შემიძლია — მის გადაწყვეტილებას ვეთანხმებით თუ არა, ფაქტია, მას მმართველობის თავისი პოლიტიკა და კურსი აქვს.

**— რის გამო გადაიქცა ქართული პოლიტიკა შოუდ, ხელისუფლება კი „შოუმენად“? თუ ეს ნაციონალური მოძრაობის დამსახურებაა, რომელიც ცდილობს პოლიტიკური დღის წესრიგი თავად შექმნას?**

— ნაციონალური ოცნემოძრაობის მიზანია, ყველაფერი ფარსად აქციოს, მაგრამ ამ შემთხვევაში უფრო ღრმა პრობლემაა: ქვეყნის პოლიტიკური სტრუქტურა დარღვეულია. პარლამენტი არ პარლამენტობს, მინისტრი არ მინისტრობს. ყოველ შემთხვევაში, ის, რაც გარეთ გამოდის, პრეზერვატივების კანონით დაწყებული, ლუდის სმის აკრძალვით დამთავრებული, ამ შთაბეჭდილებას ტოვებს. ნუთუ ქვეყანაში, სადაც უკიდურესად ღარიბი ადამიანები ცხოვრობენ, სხვა პრიორიტეტები არ არსებობს? თუ უფრო სერიოზულ საკითხებზეც მსჯელობენ, რატომ არ საუბრობენ ამის შესახებ საზოგადოებასთან? მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის დიალოგი აუცილებელია.

**— დიალოგის ნაცვლად, მთავრობაში პირველი პირების უპირატესობას არკვევენ, შიდადაპირისპირების შემყურე საზოგადოება კი, კოალიციის ორწლიანი მმართველობით უკმაყოფილოა. როგორია მოვლენათა განვითარების თქვენეული პროგნოზი?**

— ქვეყნის პირველმა პირებმა თავი გაიმასხარავეს. თავდაპირველად ვფიქრობდი, რომ პრეზიდენტის მხრიდან პრინციპების დაცვა სწორი იყო, ეს კონსტიტუციაშიც ჯდება, მაგრამ გარკვეული ეტაპის შემდეგ, ყველაფერი მასხარაობას დაემსგავსა. ეს საბოლოოდ გვარწმუნებს, რომ ხელისუფლება მნიშვნელოვანი საკითხებით არ არის დაკავებული და პრობლემების გადაფარვას მსგავსი პოლემიკით ცდილობს. არ მჯერა არც ვადამდელი არჩევნების და არც კოალიციის დაშლის, რადგან მასში შემავალი პარტიები სტრუქტურულად აღარ არსებობენ, ყველა მათგანი „ქართულმა ოცნებამ“ შეისრუტა. დამოუკიდებლად მოქმედებას და გაერთიანებიდან გასვლას არავინ გარისკავს, რადგან იდენტობის დაბრუნება გაუჭირდებათ. არც საქართველოს სჭირდება ვადამდელი არჩევნები. პრობლემაა ისიც, რომ ოპოზიცია არ არსებობს. განსაკუთრებით არაჯანსაღ ვითარებას ქმნის ფაქტი, რომ ხელისუფლების ხელშეწყობით, ნაციონალური მოძრაობა მონოპოლისტ ოპოზიციად შეიქმნა. არადა ეს პოლიტიკური ძალა რეალური ოპოზიცია არ არის. ნაციონალები ძირითადად იმას აკრიტიკებენ, რასაც თავად უარეს ფორმებში აკეთებდნენ. ეს ყველაფერი ფარსია! პარალელურად, ხელისუფლებამ შექმნა და გასაქანი მისცა სხვა პარტიებს, რომლებიც ოპოზიციურ ძალად ვერ ჩამოყალიბდნენ და ვერც მომავალში შეძლებენ მოსახლეობის ნდობის მოპოვებას. ასეთი ვითარება ხელისუფლებისთვისაა კატასტროფული შედეგებისმომტანი და, თუ ახლა ამას ვერ გრძნობს, მომავალში აუცილებლად მიხვდება.

**— პრობლემა თავად არასაპარლამენტო ოპოზიციაში ხომ არ არის, რომელიც რამდენიმე ნაწილად დაიშალა და ვადამდელ არჩევნებზე 1%-იან რეიტინგსაც ვერ ასცდა?**

— არასაპარლამენტო ოპოზიცია ქვეყანაში აღარ არსებობს და, თუ არ შეიცვლება პოლიტიკური პარტიების დაფინანსების კანონი, ქვეყანაში 21-ე საუკუნის შესაბამისი პოლიტიკური ძალებიც ვეღარ ჩამოყალიბდება. სწორედ არსებული კანონმდებლობის შედეგია, რომ პოლიტიკურ უდაბნოში ვართ და არც პოლიტიკური დისკურსები გვაქვს, ამიტომ საუბრობენ ვინ სად მიდის, სად იყო და რომელი პოლიტიკოსი საუბრობს ცუდი ინგლისურით. ეს საკითხები რაში მაინტერესებს?

**— „პოლიტიკურ უდაბნოში“ რამდენიმე სქემა მაინც განიხილება: ირაკლი ალასანიასა და გიორგი მარგველაშვილის ალიანსი, ან ნაციონალური მოძრაობის რევანში, რაზეც ინფორმაციას თავად ხელისუფლება ავრცელებს.**

— ეს პოლიტიკური განხილვა არ არის, ჭორებია, რისი რეალური ნიშნებიც არ იკვეთება. აბსურდულად მეჩვენება, რამე საერთო აქვთ პოლიტიკურად? ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკურად გამოცოცხლება გამორიცხულია. არაერთხელ მითქვამს, ნაციონალური მოძრაობის წევრებისა და მხარდამჭერების სივრციდან გარიყვა არ შეიძლება. ქვეყანას იმის ფუფუნება არ აქვს, ყოველი ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, ყოფილი მაღალჩინოსნები პოლიტიკიდან განდევნოს, მაგრამ ხელისუფლებაში ნაციონალების დაბრუნება მითია, რომელსაც არსებობის საფუძველიც კი არ აქვს.

**— სად არის ამ დროს საზოგადოებრივი კონტროლი, ან რას შეცვლის ამ ფლანგზე ბიძინა ივანიშვილი და მისი დაპირება გააქტიურების შესახებ?**

— დღეს ქვეყანას არავინ მართავს. მართვის ნიშნები არაფერს ეტყობა. სიმართლე გითხრათ, ველოდებოდი, რომ პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ის საზოგადოებრივ ფლანგზე აქტიურად გამოჩნდებოდა, მაგრამ ახლა საზოგადოება უარეს დღეშია.

სააკაშვილი კონცერტებს მართავდა, რომ მოსახლეობის ყურადღება პრობლემებიდან სხვა საკითხებზე გადაეტანა, ახლა მხოლოდ პოლიტიკური თამაშების მომსწრენი ვართ — პრემიერი წავა თუ პრეზიდენტი? იმაში მაინც გაგვარკვიონ, საგარეო ვიზიტებზე რის სათქმელად მივდივართ, რა არის საქართველოს მთავარი გზავნილი ან თუნდაც დავოსში რა პოზიციები უნდა დავიკავოთ? მხოლოდ იმის თქმა, რომ მთავრობა ინვესტორების შემოყვანას გეგმავს, არაფერს ნიშნავს. ასე ამბობდნენ სააკაშვილი და შევარდნაძეც, მაგრამ ეს პოლიტიკა არ არის. არადა, რეგიონში ვითარება დღითიდღე იძაბება, ყველა მხრიდან ომია — უკრაინა, სირია, ავღანეთი, ერაყი... სად ვართ ამ დროს ჩვენ? ის მაინც თუ ვიცით, რას ნიშნავს ასოცირება და ამის შემდეგ რა უნდა გავაკეთოთ? საზოგადოებამ და მათ შორის მეც, ისიც არ ვიცით, ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ პარლამენტმა ამ კონტექსტში რა კანონმდებლობა მიიღო. რუსეთთან რა პოლიტიკას ვთამაშობთ? ეს ის მნიშვნელოვანი კითხვებია, რომელზეც ხელისუფლების საქმიანი პასუხი არ მომისმენია. ისიც კი არ ვიცით, ტურიზმში რა პოლიტიკას ვირჩევთ. დედაქალაქის მერი ხომ ავირჩიეთ, თბილისში ცვლილებას ვერ ვამჩნევ. ისევ საშინელი შენობები შენდება.

**— ამ ფონზე, არ იზრდება საფრთხე, რომ ქვეყანა საერთაშორისო იზოლაციაში მოექცეს?**

— საქართველო საერთაშორისო ასპარეზზე, მეტ-ნაკლებად, უკვე იზოლაციაშია, რადგან კონკრეტული გზავნილის არარსებობის გამო ცივილიზებული მსოფლიოსთვის აქტუალური აღარ ვართ. საქართველოდანაც უფრო მეტი ადამიანი გარბის. რეალურად, ქვეყნის მოსახლეობის 1/3 საქართველოს საზღვრებსმიღმაა. ხელისუფლებას არც ეს ადამიანები ანაღვლებს.

**— პირადად თქვენ თუ აპირებთ პოლიტიკაში გააქტიურებას?**

— ჩემი აქტიურობა პარტიის აქტივობაზე დიდი ხანია არ არის დამოკიდებული. ჩემთვის მნიშვნელოვანია, ქვეყანაში პოლიტიკური სივრცე არსებობდეს.

საქართველოდან 2010 წლის ნოემბერში წავედი განცხადებით, რომ მაშინ არსებულ პირობებში, დაკავებისა და წნეხის ქვეშ პოლიტიკაში დარჩენა შეუძლებელი იყო.

დღეს შიში გაქრა, არც ზეწოლა შეიმჩნევა, მაგრამ პოლიტიკური სივრცეც გაქრა. საქართველოში რომ ჩამოვიდე, რა უნდა გავაკეთო? ჩემი და ჩემნაირების გააქტიურება დემოკრატიულ კანონმდებლობასა და თანაბარ პირობებზეა დამოკიდებული. საზოგადოებაში გაჩნდა გააქტიურების მოთხოვნა. იმისთვის, რომ აქტივობა რეალურ მოძრაობად გარდაიქმნას, სრულყოფილი სისტემაა აუცილებელი, სადაც პოლიტიკური ძალები სხვადასხვა საკითხებზე იმსჯელებენ. დღეს სერიოზული დებატები არ იმართება, არარეალურ საკითხებზე მხოლოდ „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის განცხადებებს ვისმენთ, რაც კიდევ ვიმეორებ, არაჯანსაღ პოლიტიკურ ფონს ქმნის.

## ვერსიანიუსი

### თურქეთის ბრალდებული მოქალაქე მართლმადიდებლად მოინათლა



საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კურთხევით, სასჯელაღსრულების №8 დაწესებულებაში ბრალდებული ე.ო. დეკანოზმა გაბრიელ პაიკიძემ მართლმადიდებლად მონათლა და ნათლობის სახელად თორნიკე უწოდა.

წარმოშობით ქართველი ე.ო. თურქეთის მოქალაქეა, გვარად ლორთქიფანიძე. რამდენიმე კვირის წინ მან საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია მეორეს განცხადებით მიმართა, სადაც საკუთარ წარმომავლობაზე მიუთითა. აღნიშნა, რომ სურდა, დაბრუნებოდა მართლმადიდებლობას, რადგან მისმა წინაპრებმა 1780 წელს იძულებით მიიღეს ისლამი.

მონათლულ ბრალდებულს საჩუქრად უწმინდესისგან გამოგზავნილი ჯვარი და სახარება გადაეცა.

**„ჩემი წინაპრები თურქეთში იძულებით გადაასახლეს და გაამუსლიმეს. ისინი ისევე, როგორც ჩემი მშობლები, მუსლიმები იყვნენ. გულში ქრისტიანებად რჩებოდნენ, თუმც ამას ხმამაღლა ვერ ამბობდნენ. სულ მინდოდა მართლმადიდებლად მონათვლა. უფლის მადლით, გავქრისტიანდი და როცა გავთავისუფლდები, ეკლესიაში ჯვარს დავიწერ ჩემს მეუღლეზე, რომელიც შვილს ელოდება“,** — განაცხადა ე.ო-მ.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სოციალური სამმართველოს უფროსის, ლეილა აფციაურის განცხადებით, ბოლო წლების განმავლობაში სასჯელაღსრულების სისტემაში სხვადასხვა ეროვნებისა და აღმსარებლობის 157 პატიმარი გაქრისტიანდა: **„ის, რომ სხვადასხვა აღმსარებლობისა და ეროვნების მსჯავრდებულები მართლმადიდებლებად ინათლებიან, საპატრიარქოსა და კათალიკოს-პატრიარქის უდიდესი დამსახურებაა. რწმენა, ლოცვა და სინანული ადამიანებს ციხეში ყოფნას უადვილებს. მსჯავრდებულებსა და საპატრიარქოს შორის შუამავალი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სოციალური სამმართველოა. აღსანიშნავია, რომ პატიმართა არცერთი თხოვნა არ რჩება საპატრიარქოს ყურადღების მიღმა“.**

*„პირველი“*



### სკოლებში კითხვის გაკვეთილები იწყება

ცვლილების ინიციატორი განათლების და მეცნიერების სამინისტროა. წიგნიერების საათი პირველიდან მეოთხე კლასამდე მოსწავლეებს ჩაუტარდებათ.

როგორც განათლების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური აცხადებს, აღნიშნული გაკვეთილი მოსწავლეებში წიგნიერების დონის ამაღლებას შეუწყობს ხელს:

**„გადავწყვიტეთ, დაწყებით კლასებში, მასწავლებლებმა კითხვის საათი ჩაატარონ. ჩვენი პრიორიტეტია მოსწავლეებს წიგნის კითხვა შევაყვაროთ“.**

*„პირველი“*



## მცხეთის მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებელი დააკავეს

ვახტანგ ყიფშიძე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ დიდი ოდენობით სახელმწიფოს კუთვნილი მიწის ნაკვეთების თაღლითურად დაუფლების ბრალდებითაა დაკავებული.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ვახტანგ ყიფშიძემ 2008 წლის მარტში, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში, შექმნა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, რომლის მეშვეობითაც, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, თაღლითურად დაეუფლა ქ. მცხეთაში, ფიქრის გორაზე მდებარე სახელმწიფოს კუთვნილ, განსაკუთრებით დიდი ფართობის მქონე მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლებებს, რომელთა საერთო საბაზრო ღირებულება 2 494 660 ლარს შეადგენს.

გამოძიება საქართველოს სსკ-ს 180-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით 7-დან 10 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

*„პირველი“*



## დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე სანდრო ბრეგაძე იქნება

ბრეგაძე სახელმწიფო მინისტრმა გელა დუმბაძემ თავად წარადგინა. ის სამინისტროში საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებას უხელმძღვანელებს. როგორც დუმბაძემ აღნიშნა, სანდრო ბრეგაძე, რომელიც მანამდე ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე იყო, საზოგადოებისთვის ცნობილია, როგორც გამორჩეული პატრიოტი.

თავად ბრეგაძე აცხადებს, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით დიდი გამოცდილება აქვს და ამ სფეროს გაძღოლა არ გაუჭირდება.

*„პირველი“*

## წვევამდელი დავით ბოლოთაური ცვლის უფროსმა საგუშაგოზე გარდაცვლილი იპოვა

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო წვევამდელი დავით ხვიჩას ძე ბოლოთაურის დაღუპვის გამო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და გარდაცვლილის ოჯახს სამძიმარს უცხადებს: **„რიგითი დავით ბოლოთაური სამხედრო ნაწილის ცვლის უფროსმა საგუშაგოზე გარდაცვლილი იპოვა. მას ჭრილობა თავის არეში ჰქონდა მიყენებული.**

**გამოძიება დაწყებულია, საქმე აღძრულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის №115 მუხლით — თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე.**

**მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი მთავარი პროკურატურის უშუალო ზედამხედველობით აწარმოებს.**

**1996 წელს დაბადებული დავით ბოლოთაური საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 2014 წლის 3 სექტემბრიდან ირიცხებოდა. იგი საქართველოს შეიარაღებული ძალების ეროვნულ სასწავლო ცენტრ „კრწანისში“ პროცესებიც მხარდაჭერის ასეულში სავალდებულო სამხედრო სამსახურს იხდიდა.**

**თავდაცვის სამინისტრო სრულად დაფარავს წვევამდელის დაკრძალვასთან დაკავშირებულ ხარჯებს“.**

*„პირველი“*

# გაკვეთილებს კამერით გადაიღებენ?!

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**2015 წლის 1 იანვრიდან მასწავლებლების განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემა ამოქმედდება, რომელიც სისტემის სახეს მიიღებს, სასერტიფიკაციო გამოცდებს ჩაანაცვლებს და მის მიხედვით გაიცემა ხელფასები და დამატებები. 2014 წლის ბოლომდე ყველა პედაგოგმა სასერტიფიკაციო გამოცდა უნდა ჩააბაროს, რათა 2015 წლიდან სკოლაში მუშაობის უფლება მოიპოვოს. აღნიშნული ნორმის საფუძველზე კი 2015 წლიდან საქართველოში მასწავლებლების კრიზისი შეიქმნება, რადგან საჭირო რაოდენობის პედაგოგი სერტიფიკატს ვერ აიღებს. ამ ფონზე, ამ ცვლილების თანახმად, სერტიფიცირების წესი ახალი, კომპლექსური სქემით შეიცვლება.**



## რას შეცვლის ახალი სქემა განათლების სისტემაში

ამ სქემით, მასწავლებლები კომპეტენციებისა და საქმიანობის შედეგების მიხედვით დაიყოფიან 4 კატეგორიად: პრაქტიკოსი, უფროსი, მკვლევარი და მენტორი. ყოველი კატეგორიის მიღწევა შესაბამისი სახელმწიფო სერტიფიკატით დადასტურდება. სხვადასხვა აქტივობების საფუძველზე, მასწავლებლები კრედიტ-ქულებს დააგროვებენ, რაც მათ ხელფასს განსაზღვრავს. სქემა მეცნიერებისა და განათლების კომიტეტის თავმჯდომარე ივანე კიღურაძემ დაიწუნა და გასასწორებლად განათლების სამინისტროს დაუბრუნა. როგორც კიღურაძე აცხადებს, მისთვის ეს 4 საფეხურიც გაუგებარია, არც ცვლილების ავტორის გვარები იცის და საერთოდ, მკვლევარი მასწავლებლები ბევრ ფსევდოსამეცნიერო ნაშრომებს შექმნიან, რაც ცუდია. ამ და სხვა თემებზე, „ვერსიას“ ექსკლუზიურად ესაუბრება **კახაბერ ქღენტი,** მასწავლებელთა განვითარების სქემის პროგრამის კოორდინატორი და ცვლილების ერთ-ერთი იდეოლოგი.

**— კომიტეტსა და სამინისტროს შორის კომუნიკაციის ნაკლებობის ბრალია, სქემამ პარლამენტში მითქმა-მოთქმა რომ გამოიწვია?**

— 2012 წლიდან მუდმივად ვხვდებოდით მასწავლებლებს თბილისსა და რეგიონებში, რადგან არ შეიძლება, 60 000 ადამიანისთვის რაღაც დოკუმენტი ისე მიიღო, არ აუხსნა. 23 წელი მასწავლებელი გახლდით და ყველაფერს მათი გადმოსახედიდან ვაფასებ. ყველაზე დიდი დავა მოყვა კატეგორიას — მკვლევარი მასწავლებელი.

**— კიღურაძე ამბობს, რომ არ გვჭირდება მკვლევარი მასწავლებლები, რადგან ამ გზით ბევრ ფსევდომეცნიერულ ნაშრომს მივიღებთ.**

— 2010 წლის 14 სექტემბერს, განათლების მინისტრის ბრძანებით, დაწყებითი კლასების მასწავლებელს მოეთხოვება დასკვნის უნარი, ანუ შეუძლია საკუთარი პრაქტიკის კვლევის შედეგების ანალიზი, პროფესიული ვითარების ანალიზი, მოსალოდნელი შედეგების განჭვრეტა და დასკვნის გაკეთება. სულ ეს არის კვლევა და ამას ბებიაჩემი თამარაც აკეთებდა. სხვა სიტყვა უნდა გამოგვეყენებინა „კვლევის“ ნაცვლად? კი ბატონო, თუ მთავარი პრობლემა ესაა, შეთანხმება შეიძლება. დღეს ევროპული მასწავლებელი მაგისტრის დონეზეა. ჩვენც ეს გვინდა, მაგრამ, რადგან არ შეგვიძლია, პროფესიაში ბაკალავრები შემოგვყავს. წინაც ხომ უნდა წავიდეთ?!

**— განათლების კომიტეტის თავმჯდომარე აცხადებს, მასწავლებლების 4 კატეგორიად დაყოფა თუ არ შეიცვლება, კანონს მხარს არ დავუჭერო.**

— ქართული ვარიანტია — კანონებსა და მის განმარტებებს ბოლომდე არ ვკითხულობთ, თორემ მოლაპარაკების გზით ყველაფრის მოგვარება შეიძლება. ჩვენ უკვე შევცვალეთ მასწავლებელთა კატეგორიების დასახელება. მიხარია, რომ სამინისტრო ცდილობს, არ დათმოს პოზიციები და ეს 4 საფეხური დატოვოს. მკვლევარი მასწავლებელი პირველად მესამე საფეხურზე ჩნდება.

**— კიდევ ერთი პრობლემა მენტორის განსაზღვრებაშია, რომელიც კომიტეტს ასევე არ მოსწონს.**

— მენტორი, არსით, ნიშნავს მასწავლებელს, რომელსაც იმხელა ცოდნა და გამოცდილება აქვს, შეუძლია, სხვა მასწავლებელსაც ასწავლოს და სკოლაში რაღაცებიც შეცვალოს. შეგვიძლია ეს სიტყვაც შევცვალოთ და მას „მეთოდისტი“ ვუწოდოთ, მაგრამ ამაზე ძველი დრო გვახსენდება, რაც არ გვინდა. მთავარი ისაა, რომ პროფესიული განვითარების ყველა ეს საფეხური კარიერულ წინსვლასაც მიებას. ყველა მასწავლებელს, ვისაც სკოლის მართვა უნდა, შანსი ეძლევა. სამინისტროს კათედრის გამგე თუ დასჭირდა, მკვლევარი მასწავლებლებიდან შეარჩევს. თუ დირექტორს ეძებენ, კონკურსში მონაწილეობას მენტორები მიიღებენ. დღევანდელი დაფინანსებისა და ხელფასის თანაბრად გადანაწილების პრინციპი არასწორია, ამიტომ უნდა ვეცადოთ, ეს სისტემა რაღაც კალაპოტში მოვაქციოთ.

**— ვინ უნდა შეაფასოს მასწავლებლები, ანუ ვინ არიან შიდა და გარე დამკვირვებლები?**

— შეფასება სამი დონისაა: თვითშეფასება, რომელსაც ყველა პედაგოგი, წლის ბოლოს, თავის პორტფოლიოში ჩაწერს; გარედაკვირვება, რომელზეც გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი მუშაობს. მათ უნდა შეამოწმონ პედაგოგები უშუალოდ გაკვეთილზე. ჩვენი ინტერესია, დასწრება რაც შეიძლება მეტჯერ მოხდეს, გაიცეს სათანადო რჩევები, რეკომენდაციები და გარკვეული პერიოდი, დავაკვირდეთ, რამდენად ითვალისწინებენ მათმასწავლებლები. ეროვნულ ცენტრს ჯერ ხედვა არ წარმოუდგენია. შესაძლოა, გაკვეთილის ვიდეოგადაღებაც მოუხდეთ.

**— ამის ფინანსები აქვს სამინისტროს და რას ფიქრობენ ვიდეოგადაღებაზე მასწავლებლები?**

— ეს, პირველ რიგში, მასწავლებლის დაცვის საუკეთესო მექანიზმია. გარდა იმისა, რომ თვითშეფასებისთვის კარგი საშუალებაა, უტყუარი ფაქტებიცაა, რაც დავის საფუძველს არ ტოვებს. ეს, შესაძლოა, იყოს ტიპური შტატივიანი კამერები და თითო სკოლისთვის თითო ასეთის მიცემასაც დიდი ხარჯი არ დასჭირდება. შეფასების მესამე ნაწილი სკოლის შიდა შეფასებაა.

**— პროცესში მშობლები არ არიან ჩართულნი?**

— ჩემი აზრით, სამეურვეო საბჭო ამაში აქტიურად უნდა მონაწილეობდეს. მომხრე ვარ, სკოლის შიდაშეფასების ჯგუფში აუცილებლად იყოს სამეურვეო საბჭოს წევრი, მშობელი. თუ მშობელმა არ იგრძნო, რომ პროცესის მონაწილეა, ისევ დისტანცირებული იქნება სკოლისგან.

**— ვინ იქნება საიდენტიფიკაციო კომისიაში, რომელიც მასწავლებლებს საფეხურების შესაბამის სერტიფიკატებს მიანიჭებს?**

— საუბარია ორ კომისიაზე. პირველი და საჩქარო, კომისიის შექმნაა, რომელიც დღეს არსებული 60 000 მასწავლებლის მიერ აქამდე განვლილ გზას სათანადოდ შეაფასებს და მის ნამუშევარსა და შედეგებს, ამ ახალი სისტემის ადეკვატურად გადაიტანს. ეს შეეხება მასწავლებელთა სხვადასხვა საფეხურებზე გადანაწილებას და მათთვის კრედიტ-ქულების მინიჭებას. კომისია შეიძლება დააკომპლექტონ უნივერსიტეტების კათედრის გამგეებმა, პედაგოგთა ტრენერებმა, ცნობილმა მასწავლებლებმა და საზოგადოებისთვის ავტორიტეტულმა პირებმა. საიდენტიფიკაციო სახელმწიფო კომისიაში კი თავს იყრის მთელი ეს ინფორმაცია და შეფასებები. ნებისმიერ მასწავლებელს ექნება საშუალება, მისი შეფასება ამ კომისიაში გაასაჩივროს. უნდა შეიქმნას კომპიუტერული ბაზა, ე.წ. მასწავლებლების რეესტრი, შესაბამისი კოდებით, სადაც ეს შეფასებები, აქტივობა და კრედიტ-ქულები გამოჩნდება.

**— ბოლოს, თუ სასერტიფიკაციო გამოცდები იმიტომ გაუქმდა, რომ პედაგოგების უმეტესობის გაშვება მოგიწევდათ და მასწავლებლების კრიზისი შეიქმნებოდა, ახლა, როცა სისტემა ბევრად ლიბერალურია და მინიმუმ 3 წელი ყველას ახალი შანსი ეძლევა, ეს პედაგოგების დაბალ დონეს როგორ აწევს?**

— მასწავლებლების გაშვება არაფერს მოგვცემს. ახალმა პედაგოგებმაც იგივე გზა უნდა გაიარონ. ეს სისტემა ვინმეს გასაშვებად კი არა, დამსახურების მიხედვით ხელფასის გასაზრდელად შემოგვაქვს. ვინც ცუდად მუშაობს, წასვლა ისედაც მოუწევს. თუმცა ამისთვის მის გაკვეთილებს უნდა დავესწროთ, მივცეთ რჩევა, რეკომენდაციები და თუ არ გაითვალისწინებს, არგუმენტირებულად გავუშვათ. ეს სამართლიანი პრინციპია, რომლის დამკვიდრება დროს მოითხოვს.

# „ნეო-კლინიკაში“ თურქი ექიმები, კვირაში სამი დღე, უნიკალურ პროცედურებს ჩაატარებენ!



**დღეს აღარავის უკვირს თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი სამედიცინო დაწესებულება, მაგრამ არცთუ ხშირია თანამედროვე განათლების მქონე სამედიცინო პერსონალი. მხოლოდ დაუღალავი შრომა, ნებისყოფა, სამედიცინო ლიტერატურა-პრაქტიკასთან კონტაქტი მოუტანს ექიმს ავტორიტეტს, წარმატებული ექიმის სახელს.**
**გულსისხლძარღვთა დაავადებების მკურნალობა, ხელოვნური აორტის სარქველის ჩადგმა ქირურგიული ჩარევის გარეშე, საშვილოსნოს მიომისა და ტვინის ანევრიზმების ემბოლიზაცია „უსისხლოდ“, ღვიძლის სიმსივნის (ჰეპატოცელურალური კარცინომა) მკურნალობა ოპერაციული ჩარევის გარეშე... — ეს, ერთი შეხედვით, დაუჯერებელი პროცედურები მალე თბილისში, ბახტრიონის №10ა-ში მდებარე „ნეო-კლინიკაში“ ჩატარდება, თანაც თურქეთიდან მოწვეული მაღალკვალიფიციური ექიმების მიერ. სიურპრიზია ქალბატონებისთვისაც: ქვემო კიდურების ვენური პათოლოგიების მკურნალობა ულტრათანამედროვე მეთოდით.**
**„სამედიცინო ცენტრი-ნეოკლინიკა“ 2001 წლიდან ეწევა მრავალპროფილურ სამედიცინო დიაგნოსტიკურ, სამკურნალო და სამეცნიერო საქმიანობას. კლინიკაში ფუნქციონირებს როგორც ამბოლატორიული (ყველა სახის ამბოლატორიული კონსულტაცია), ისე სტაციონარული განყოფილებები, ტარდება ხელოვნური განაყოფიერება. ცენტრი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სამედიცინო კადრებით. ეს ყველაფერი გახდა იმის საფუძველი, რომ ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ გადაწყდა — ოქტომბრიდან, კვირაში სამი დღე, „ნეო-კლინიკაში“ მისულ პაციენტებს, თურქი ექიმები მოემსახურებიან და ისეთ უნიკალურ პროცედურებსაც ჩაატარებენ, რომელთა ანალოგი საქართველოში ჯერ არ ყოფილა. რატომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება კლინიკის ხელმძღვანელობამ, კონკრეტულად რა მომსახურებას შემოგვთავაზებენ უცხოელი ექიმები და რამდენად ხელმისაწვდომი იქნება მათი ვიზიტი საქართველოს მოქალაქეებისთვის? „ვერსიის“ კითხვებს ექიმი კარდიოლოგი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, „ნეო-კლინიკის“ დირექტორის მოადგილე ზვიად ღურწკაია პასუხობს.**

— სამედიცინო ცენტრ „ნეო-კლინიკის“ ერთერთი ძირითადი მიზანი და სტრატეგიაა მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის კულტურის დანერგვა, შესრულებული სამუშაოს სისტემური-კრიტიკული გადაფასება, პრობლემების იდენტიფიცირებისა და განვითარების გზების დასახვაა. პაციენტებს მალე სასიამოვნო სიახლეს შევთავაზებთ — კლინიკაში, უმოკლეს ვადაში, გაიხსნება ანგიო-კარდიოლოგიური განყოფილება, სადაც თურქეთიდან მოწვეული ექიმები, კვირაში 3 დღე (პარასკევი-შაბათი-კვირა) იმუშავებენ. თურქეთში ისინი ძალიან წარმატებულები არიან. მათი დრო ძვირად ფასობს. შესაბამისად, ისეთი დღეები შევარჩიეთ, როცა იქ ნაკლებად დატვირთულები არიან. პირველი ვიზიტი 10-12 ოქტომბერს შედგება. ჩატარდება ქვემო კიდურების ვენური პათოლოგიების დიაგნოსტირება და მკურნალობა რადიოსიხშირული აბლაციით.

**— როგორ წარიმართა მოლაპარაკების პროცესი და მათი ძირითადი მოთხოვნა რა იყო?**

— საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი იყო. თანამშრომლობა მათ სხვა კლინიკებმაც შესთავაზეს, მაგრამ საბოლოოდ, არჩევანი „ნეო-კლინიკაზე“ შეჩერდა. ცხადია, ამის მიზეზი, ჩვენ კლინიკაში მაღალკვალიფიციური კადრების არსებობა და საუკეთესო პირობებია. ხელშეკრულების გაფორმებამდე რამდენჯერმე ჩამოვიდნენ, „ნეო-კლინიკაში“ უფასო გამოკვლევებიც ჩაატარეს. ჩვენი ქვეყანა და ქართველი ექიმები ძალიან მოეწონათ — ბევრი საუკეთესო სპეციალისტი გვყავს.

**— თუ ასეა, თურქი ექიმების ჩამოყვანა რატომ გადაწყვიტეთ?**

— გვინდა, ჩვენი მოქალაქეებისთვის უცხოელი ექიმის მომსახურება ხელმისაწვდომი გავხადოთ.

**— მაღალკვალიფიციური ექიმების კვირაში სამი დღე საქართველოში ჩამოყვანა, კლინიკას ალბათ არც ისე იაფი უჯდება. ამ ფონზე, რამდენად ხელმისაწვდომი იქნება პაციენტისთვის მათთან ვიზიტი?**

— ძალიან ბევრს უწევს საქართველოდან სამკურნალოდ თურქეთში წასვლა. წარმოიდგინეთ, მათ დოკუმენტაციის გადაგზავნიდან დაწყებული, გამგზავრების ხარჯებით დასრულებული, რამხელა თანხა დაეზოგებათ. ჩვენი ძალისხმევით კი ამ ექიმებთან ვიზიტი, ქართულ ბაზარზე არსებულ ფასთან თითქმის გათანაბრებული იქნება. რიგი პროცედურები შეიძლება დაახლოებით 10%-ით იაფიც კი დაჯდეს, რადგან ისინი არა მარტო ინტელექტუალური პოტენციალით, სხვადასხვა აუცილებელი სამედიცინო მასალებითაც გვეხმარებიან.

**— უცხოელი ექიმები კონკრეტულად რა პროცედურებს ჩაატარებენ?**

— „ნეო-კლინიკაში“ ჩატარდება მსოფლიოში აპრობირებული ყველა სახის სადიაგნოსტიკო-სამკურნალო პროცედურა კარდიოლოგიასა და ანგიოლოგიაში. კონკრეტულად: გულის და პერიფერიული სისხლძარღვების პათოლოგიების მკურნალობა ანგიოპლასტიკით, ხელოვნური აორტალური სარქველის ჩადგმა, წინაგულთაშუა ძგიდის დეფექტის დახურვა, რიტმის ხელოვნური წამყვანის ჩანერგვა, კარდიორესინქრონიზაცია, საშვილოსნოს მიომისა და ღვიძლის სიმსივნის (ჰეპატოცელულარული კარცინომა) ემბოლიზაცია — ეს იმ პროცედურების არასრული სიაა, რომელიც ქირურგიული ჩარევის გარეშე ჩატარდება. უცხოელი ექიმები ჩვენთან ისეთ ახალ პროცედურებსაც ჩაატარებენ, რომლებიც მსოფლიოს წამყვან ქვეყნებშიც კი დიდი ხანი არაა დაინერგა. მაგალითად, მოციმციმე არითმიის ქრონიკული ფორმის მკურნალობა კრიოაბლაციით.

**— რას გულისხმობს მოციმციმე არითმიის კრიოაბლაცია და ამ მეთოდით, ამ ქრონიკული დაავადებისგან, პაციენტები საბოლოოდ განიკურნებიან?**

— კრიოაბლაცია გულისხმობს მოციმციმე არითმიის მკურნალობას ტრანსკათეტერულად. საკმაოდ რთული პროცედურაა. ერთჯერადი ჩარევისას, მას 60%-იანი ეფექტი ახასიათებს, მეორე ჩარევაზე კი — 90%. თურქი ექიმები ამ პროცედურაში დახელოვნებულები არიან და საუკეთესო შედეგს მიაღწიეს.

**— ამ პროცედურების ჩატარებისთვის საჭირო აპარატურა თავად ჩამოაქვთ თუ „ნეო-კლინიკა“ უკვე აღჭურვილია შესაბამისად?**

— აპარატურას ვახვედრებთ. ჩვენთან იქნება გულსისხლძარღვთა კათეტერიზაციის ლაბორატორია, მაღალტექნოლოგიური ამერიკული წარმოების ანგიოგრაფი. პაციენტებს კიდევ ერთ საინტერესო სიახლეს ვთავაზობთ — კლინიკაში გვაქვს კომპიუტერული ტომოგრაფი. მასზე ჩატარებული კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კვლევები გადაიგზავნება თურქეთსა და ისრაელში. დასკვნას კი იქაური, მაღალკვალიფიციური ექიმი გამოგვიგზავნის. ანუ ფაქტობრივად, პაციენტს უცხოელი ექიმის უფასო კონსულტაციას ვთავაზობთ. ახალს არაფერს ვიტყვი ალბათ — ექიმის პროფესია ურთულესია. პროფესიული სირთულის დაძლევა, მხოლოდ ცოდნით შეუძლებელია. ამიტომაა, რომ მას, სამედიცინო განათლების გარდა, ექსტრემალურ სიტუაციაში, საკუთარი ქცევების, კონკრეტული ვითარების ადეკვატურად წარმართვაც მოეთხოვება.

***ნინო ლურსმანაშვილი***





# „2015 წლის 1 იანვრიდან რესტორნებში ფალსიფიცირებული ღვინის გაყიდვა იკრძალება“

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ კახეთში რთველი 2014 წარმატებით მიმდინარეობს და უკვე 104 ათასი ტონა (148 მილიონი ლარის) ყურძენია რეალიზებული. წელს რთვლით კახელებიც კმაყოფილები არიან. სიღნაღელი **სოსო კოჭლამაზაშვილი** დადებითად აფასებს სოფლის მეურნეობის სამინინისტროს ბოლო ინიციატივას, რომლის მიხედვით რესტორნებში ფალსიფიცირებული ღვინის გაყიდვა აიკრძალება: **„სოფლის მეურნეობის სამინისტრო რამდენიმე კარგი ინიციატივით გამოვიდა. სამწუხაროდ, ეს ბევრ მევენახეს არც კი გაუგია. კერძოდ, იზღუდება მარნებიდან ჭაჭის გატანა. 2015 წლის 1 იანვრიდან კი, რესტორნებში ფალსიფიცირებული ღვინის გაყიდვა იკრძალება. აქამდე ღვინოების უმრავლესობა, რასაც ბაზარში ან ღვინის წერტილებში ხედავდით, მარნებიდან გამოტანილ ჭაჭაზე შაქრითა და წყლით გაკეთებული „ღვინო“ იყო. მისი თვითღირებულება მარტო შაქრისა და ტრანსპორტირების ხარჯისგან შედგებოდა. რა თქმა უნდა, ასეთ დაბალფასიანს, ოჯახური, სახლში დაყენებული ღვინო კონკურენციას ვერ უწევდა. პრაქტიკულად, ღვინის ბაზრიდან მევენახე გაძევებული იყო.**

**ფალსიფიკაციასთან ბრძოლა პროცესია და როგორც სხვა დანაშაული, გამუდმებულ მოქმედებას მოითხოვს. ილუზია არ უნდა გვქონდეს, რომ ამით ყველაფერი მოგვარდა, მაგრამ იმ ფონზე, რაც წინა ხელისუფლების დროს ხდებოდა (მინისტრმა არ იცოდა, ვაზი ირგვებოდა თუ ითესებოდა), მსგავსი ინიციატივები გამონათებას ჰგავს. პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა — რაჭაში რთვლის დროს ყურძნის შეტანა აიკრძალა, ხვანჭკარა რომ დაეცვათ ფალსიფიცირებისგან“.**

კოჭლამაზაშვილის აზრით, ღვინო დაახლოებით 50 თეთრით გაძვირდება, ხოლო არყის ფასი იგივე დარჩება: **„ვფიქრობ, ამ რეგულაციებით მოტანილი სარგებლის 20-25% მეღვინეებში წავა, 75-80% კი სპირტის შემომტანთან“.**

სოფლის მეურნეობის მინისტრის, **ოთარ დანელიას** განცხადებით, 2015 წლის 1 იანვრიდან რესტორნებში ღვინოზე კონტროლი გამკაცრდება: **„ეს ემსახურება დარგის კიდევ უფრო გაძლიერება-პოპულარიზაციას. ეს ფუნდამენტურად განვითარებული ერთ-ერთი დარგია და იმედია, მას, მალე, სუბსიდირება აღარ დასჭირდება, რადგან სტაბილურად განვითარდა“.**

## სექტემბერში საქართველოში 501 761 ვიზიტორი დაფიქსირდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციოანალიტიკურმა დეპარტამენტმა საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა სტატისტიკური მონაცემები გაავრცელა. კერძოდ: 2014 წლის სექტემბერი 501 761 ვიზიტით განისაზღვრა, რაც 2013 წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელზე -2%-ით ნაკლებია. რაც შეეხება იანვარ-სექტემბრის ინტერვალს, ქვეყანაში უკვე 4 187 595 ვიზიტი განხორციელდა, რაც 2%-ით აღემატება 2013 წლის ანალოგიური საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელს.

შემოღებული პირობითი დაყოფის მიხედვით, ხვედრითი წილის ურთიერთმიმართება ასეთია: ტურისტი — 1 760 748 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 42%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 10%); ტრანზიტი — 827 805 ვიზიტი (19,8%, კლება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან -8%); სხვა — 1 599 042 ვიზიტი (38,2%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 0,4%).

2014 წლის სექტემბერში ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ თურქეთიდან (-6%), აზერბაიჯანიდან (+13,8%), სომხეთიდან (+2%), რუსეთიდან (+0,05%) და უკრაინიდან (+1,3%) განხორციელდა. პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-სექტემბერშიც ტრადიციულად გამოირჩევა: ლიტვა, პოლონეთი, ლატვია და ნიდერლანდები (შესაბამისად 81%, 36%, 23% და 12%), შუა აზიის ქვეყნებიდან ყაზახეთი (38%), აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან კი, ბელორუსის მოქალაქეები 49%-იანი მატებით.

***„ვერსიანიუსი“***

# „მაზავშჩიკები“ პარლამენტსა და საკრებულოში

პატიმარი №0578

## თბილისის „დინამოს“ კაპიტნის „აღიარებითი ჩვენება“



ძველი პატიმრები ამბობენ, ციხის კედელში ჩასატანებელი ყველას აგური დევს და კაცმა არ იცის, ვის როდის მოუწევს ამ აგურის ჩადებაო. მართლაც, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში კრიმინალებთან ერთად პროფესორებს, მინისტრის მოადგილეებს, ადვოკატებს, ცნობილ სპორტსმენებსა და ბიზნესმენებსაც ნახავდით. ციხეში შემთხვევით მოხვედრილი ხალხი განსაკუთრებით მას შემდეგ გახშირდა, რაც ქვეყნის მაშინდელმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტის ტრიბუნიდან დააანონსა ნულოვანი ტოლერანტობა და ზედ დააყოლა — ყველა ციხეში. ეს „ყველა ციხეში“ სამართალდამცავებმა თუ მოსამართლეებმა თავისებურად გაიგეს და სწორედ ამის ბრალი იყო, საქმეების თითქმის ას პროცენტზე გამამტყუნებელი განაჩენი რომ დგებოდა...

ბოლო დროს ქართულ ფეხბურთში სერიოზული სკანდალი აგორდა. სამართალდამცავებმა ერთბაშად რვა მსაჯი დაიჭირეს და გარიგებულ მატჩებში მონაწილეობაში დასდეს ბრალი. უფრო სწორად კი, სამართალდამცავები ამბობენ, რომ არბიტრები ტოტალიზატორებში მოთამაშეთა გარკვეული რაოდენობის სასარგებლოდ უსტვენდნენ. იმას, რომ ქართულ და ზოგადად, მსოფლიო სპორტში ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც წესი და რიგია, ზონებზე მყოფი ყოფილი სპორტსმენებიც დეტალურად ყვებოდნენ.

ყველაზე ტიტულოვანი ქართული საფეხბურთო კლუბის, თბილისის „დინამოს“ კაპიტანი რუსთავის 17 დაწესებულებაში ნარკოტიკების გამო მოხვდა. არ მალავდა, რომ „წამალზე იჯდა“, მაგრამ იმასაც ამბობდა, იმდენი წამალი ჩამიყარეს, მე კი არა, ნახევარ თბილისს ეყოფოდა და დიდ სროკზე გამიშვესო. დიდი სროკი კი არც მეტი, არც ნაკლები — 18 წელი იყო. თავიდან კაპიტანმა ყველაფერზე ხელი ჩაიქნია, მერე კი ვარჯიში დაიწყო და ურიგო ფორმაში ნამდვილად არ გახლდათ.

ერთ დღეს 67 საკანში კაპიტანი, ყოფილი მოჭიდავე, ყოფილი ბიზნესმენი და ყოფილი მოკრივე შეიკრიბნენ. ჩაი დალიეს, მერე ამ საკნის ბინადარი, პატიმარი 0578 ხილით გაუმასპინძლდა და ბოლოს კაპიტანს უთხრა, შენი დაჭერის ამბავს საინტერესოდ ჰყვებიან, მოყევიო. ამის თქმაზე ყველას გაეცინა, გაეცინა კაპიტანსაც და დაიწყო: „ეგ ადრე იყო, „დინამოს“ რომ ერთი კაპიტანი ჰყავდა და ათი წელი არ იცვლიდა. ბოლოს ისე იყო არეული, სეზონში კაპიტნის სამკლაურით შეიძლება ათ კაცს გაეყვანა გუნდი. მეც მხვდა წილად ეგ ბედნიერება, მაგრამ რად გინდა, ცარიელი ტრიბუნების წინ, გინდა, გუნდი გაიყვანე და, გინდა, ცხვრის ფარა, ერთი ფასი აქვს. მოკლედ, წამალზე რამდენიმე ვიჯექით, მაგრამ მე უბანში ძველ ნარკომანებს ვიცნობდი და მარნეულში რამდენიმე ბარიგა გამაცნეს. ერთ დღეს ლომკა მაქვს, მარნეულამდე როგორ ავედი, არ მახსოვს, წამალი ავიღე, გავიკეთე და მშვიდად ვბრუნდები უკან. მანქანაში კიდევ ორი ნარკომანი მიზის, ბაბუები რა, ძველი მორფინისტები. რუსთავის ტეკთან გზა გადაკეტილი დამხვდა. თურმე ჩაშვებულები ვართ, ტელევიზიაა მობილიზებული. გაგვაჩერეს. მივხვდი, ცუდად არის საქმე. გადმოვედი და ჩემს წინ მდგომ პოლიციელს ხელი გავუწოდე — თბილისის „დინამოს“ კაპიტანი ესა და ეს-მეთქი. იმანაც გამომიწოდა ხელი და რუსთავის პოლიციის პოლკოვნიკი თეთრაძეო. პატივი მცეს, არ გამატელევიზორეს, მაგრამ ეს სარეკლამო სროკი კი მომცეს. გავიძახი ახლა 18-18 და მიხარია“...

— კი, მაგრამ წამალს ფული უნდა, დიდი ფული და „დინამოში“ ასეთი ხელფასი იყო?

— ხელფასი არც ვიცი, რამდენი მქონდა. ვინ უყურებდა ხელფასს. გამაზავდი და ეგ იყო.

— სად და რას მაზავდი?!

— ახლა გაფუჭდა ვითარება, თორემ უცხოური ტოტალიზატორები თამაშობდნენ საქართველოს ჩემპიონატს. ესეც არ იყოს, ევროთასებზე რომ გადის გუნდი, ხომ უეჭველი თამაშობს ტოტალიზატორი. ჰოდა, მაზავ, რა. კუთხურები, ჯარიმები, აუტები, შეცვლები... ესენი ხომ შენ ხელშია?! კუში 5.0 რომ იყოს გადამრავლებით, ისესხებ 50 ათასს და სუფთა 200 ათასი გიჭირავს ხელში. აი, ის თუ გახსოვს, უეფა-ზე თბილისის „ლოკომოტივი“ დანიურ „კოპენჰაგენს“ რომ შეხვდა?! მაშინ ამ თამაშზე კუში ქართულმა ტოტალიზატორებმაც დაწერეს და მთელმა გუნდმა გამაზა. კარგი გუნდი იყო მაშინ „ლოკომოტივი“ და ყველა ქართველი რომ წაგებაზე დებდა, მიხვდნენ ტოტალიზატორები, რაც ხდებოდა და თამაში პროგრამიდან ამოიღეს, მაგრამ ვინც მოასწრო, ჯამში, 3 მილიონით აზარალა ქართული საბუკმეიკერო კანტორები. შენ რა გგონია, მარტო ჩვენ ვმაზავდით?! თბილისის საკრებულოსა და პარლამენტში ხელზე გამაზვები, იცი, როგორი მოსული პონტია?! ნაკრების ფეხბურთელები თამაშობენ, ხელზე მაზავენ. აი, იმ ტიპთან, საკრებულოში რომ არის (და „დინამოს“ კაპიტანმა წინა მოწვევის საკრებულოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობადი სახე დაასახელა, ჩვენ გადავამოწმეთ და თუ ვინმე გააპროტესტებს, სახელსა და გვარსაც ვიტყვით და ეროვნული ნაკრების იმ წევრებსაც დავასახელებთ, რომლებმაც მას უშუალოდ საკრებულოს შენობაში ჩააბარეს თავანი, ეს თავანი კი ქეშად ერთ შემთხვევაში 250 ათასი იყო, მეორე შემთხვევაში 120 ათასი. იმ საბუთსაც დავდებთ, რომლის მიხედვითაც ამ პიროვნებას კაზინოში წლის განმავლობაში ორასზე მეტი ვიზიტი უფიქსირდება და ჯამში მილიონზე მეტი აქვს წაგებული. ასე რომ, უხმოდ შეირგეთ). პარლამენტში თავის იგროკი ჰყავთ (იგივეს ვიტყვით წინა მოწვევის პარლამენტის წევრზეც, რომელიც, ცნობისთვის, ამ მოწვევის პარლამენტშიც არის). შენ კიდევ ხელფასიო...

— დემე რეალურად მოყვა შარში?!

— დემეს აქ ჩალიჩი რად უნდოდა, სადაც თამაშობდა, ყველგან ბომბარდირი იყო და თუ უნდოდა, იქ იჩალიჩებდა და თან ძაან მაგრად. აქ შარში გაეხვია, თორემ აქაური 30 ათასი სულ კიდია მაგას...

— შენ რა გგონია, მარტო ფეხბურთშია ასე?! ჭიდაობაში უარესები ხდება, — ხმა ამოიღო მოჭიდავემ.

— მანდ რაღა გჭირთ, ბიჭო?! ტატამზე სხვა ხომ ვერ იჭიდავებს, შენ უნდა გახვიდე, ანუ ძალით აგებ?!“

— ეეე, კაი რა.... ჩადიხარ მაგალითად გერმანიაში, თავს იკლავენ გერმანელები და ზოგადად ევროპელები ვარჯიშით. იცი, რომ ტურნირს თუ მოიგებ, საქართველოში მაქსიმუმ 5 ათასი ლარი მოგცენ. იქ კი გადიხარ ფინალში და კაცი გეუბნება, 50 ათას დოლარს მოგცემ და დამიწექიო. უფრო სწორედ, ამას მწვრთნელს ეუბნება, მწვრთნელი შენ და ეგ არის. ქართველები ფინალების 80 პროცენტს რომ აგებენ, არ გიკვირს?! არ არის გასაკვირი, არა... ერთადერთი შეიძლება მსოფლიო ჩემპიონატის ფინალზე დაფიქრდე, მაგრამ თანხას გააჩნია, მსოფლიოს მშიერ ჩემპიონობას, მაძღარი მეორე ადგილი ჯობია, — დაასრულა მოჭიდავემ.

პატიმარმა 0578 ბიზნესმენს შეხედა და...

— ბიზნესშიც ასეა — ვინც იხდის, ის იგებს. აგერ, მე არ გადავიხადე და თქვენთან ვარ, სხვებმა გადაიხადეს, თუმცა... მე მაინც მოგებული მგონია თავი და თუ გინდათ, მომკალით, — ღიმილით თქვა ბიზნესმენმა.

## ავტომობილის სავალდებულო ტექდათვალიერება 2 წლით გადავადდება



ავტომობილების სავალდებულო ტექნიკური დათვალიერების ვადა, სავარაუდოდ, 2015-ის ნაცვლად, 2017 წლის 1 მარტიდან შევა ძალაში. ამ რეკომენდაციით ეკონომიკურმა საბჭომ მთავრობას მიმართა. საბჭოს სხდომა პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით გაიმართა, რომელზეც საქართველოში ავტომობილების პერიოდულ ტესტირებასთან დაკავშირებით არსებულ მდგომარეობასა და გასატარებელ ღონისძიებებზე იმსჯელეს.

ასევე მოისმინეს ინფორმაცია საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებული პროგრამის – „აწარმოე საქართველოში“ მიმდინარეობის შესახებ. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის, ქეთევან ბოჭორიშვილის განმარტებით, დღეს უკვე დამტკიცებულია სოფლის მეურნეობისა და ინდუსტრიული მიმართულების მქონე 25 პროექტი, რაც ნიშნავს ათასობით ახალი სამუშაო ადგილის გაჩენას. სასიამოვნო სიახლეს წარმოადგენს ფაქტი, რომ დღეიდან ნებისმიერ ბიზნესმენს, ვისაც წარმოების გაფართოება სურს, შეუძლია ჩაერთოს პროგრამაში და მიიღოს შეღავათიანი სესხი. **„პროგრამით დაინტერესება იმდენად დიდი იყო მეწარმეებში, რომ მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, მათ წარმოების გაფართოება შეძლებოდათ. ამ მიზნით მათ შეუძლიათ მიმართონ ბანკებს, ისარგებლონ შეღავათიანი სესხით და მთავრობის თანადაფინანსების პროცენტით“,** – განაცხადა ქეთევან ბოჭორიშვილმა.

ეკონომიკურ საბჭოზე წარმოადგინეს საქართველოს სატრანზიტო დერეფნის განვითარების შესაძლებლობებისა და პერსპექტივების პროექტიც. საბჭოს წევრებმა განიხილეს პროექტი „ახალი აბრეშუმის გზა“, რომელიც ევროპისა და აზიის რეგიონებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული კავშირურთიერთობების გაღრმავებას, ახალი საავტომობილო ქსელის განვითარებასა და გლობალური კავშირების განვითარების ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

*„პირველი“*

საზოგადოება

# მაწანწალა ბავშვებისთვის მობილური ჯგუფები ამოქმედდა

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

ვაკეში, ერთ-ერთი მიწისქვეშა გადასასვლელის კიბეზე, წლებია, შუა ხნის ცოლ-ქმარი მოწყალებას ითხოვს. ხშირად 6-7 წლის გოგონებიც ახლავთ, რომლებიც სიცივისას, გასათბობად, დედას ეხუტებიან. ჩვენი დროის სამწუხარო რეალობაა, რომ ქუჩაში მოწყალების მთხოვნელ ბავშვებს ლამის ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით. განსაკუთრებით გზაჯვარედინებზე, მიწისქვეშა გადასასვლელებსა და მეტროს ვაგონებში. ბევრი ასე გაიზარდა და არავინ უწყის, რა გზას დაადგა. მიზეზები ბანალურია — საქართველო სიღარიბის მაჩვენებლით ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ასევე დსთ-ს ქვეყნებს შორის პირველ ადგილზეა. სოციალური მომსახურების სააგენტოს ბაზაში დღეს სოციალურად დაუცველი 440 500 მოქალაქეა რეგისტრირებული. გაერო-ს ბავშვთა ფონდის (იუნისეფის) კვლევამ აჩვენა, რომ 77 ათასი ბავშვი დღეში 2 ლარზე ნაკლებს მოიხმარს, 205 ათასი კი — 3 ლარზე ნაკლებს.

ამ ფონზე, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების დასახმარებლად თბილისში მობილური ჯგუფები, დღისა და ღამის ცენტრები ამოქმედდა. გაერო-ს ბავშვთა ფონდის ინფორმაციით, დედაქალაქში უკვე ფუნქციონირებს სამი მობილური ჯგუფი, დღისა და ღამის ოთხი ცენტრი. ამ მომსახურებას ორწლიანი პროგრამა ითვალისწინებს, რომელსაც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო გაერო-ს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობითა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს. იუნისეფის ცნობით, შემუშავდა მექანიზმები, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების გამოსავლენად. მომსახურეები, მათ სთავაზობენ დახმარებასა და დაცვას. ისინი ასევე მათ ოჯახებთან მუშაობენ, რათა ბავშვები არსებულ სოციალურ და ბავშვთა დაცვის მომსახურებაში ჩაერთონ. ინიციატივაში განათლების, იუსტიციის, შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროები, ასევე თბილისის მერია და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციაა ჩართული.



„იუნისეფის“ წარმომადგენელი საქართველოში **საშა გრაუმანი** აცხადებს, რომ ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების დასახმარებლად სახელმწიფო მექანიზმის შექმნა უმნიშვნელოვანესია: **„ადრე მსგავსი მექანიზმი არ არსებობდა და მთავრობის ძალისხმევა დასაფასებელია. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ბავშვებს ქუჩისკენ უბიძგებს, სიღარიბეა. საქართველოში 50 000 ბავშვი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს. ოჯახური ძალადობა, ნარკოტიკისა და ალკოჰოლის მოხმარება და დისფუნქციური ოჯახებიც უწყობს ხელს ბავშვების ქუჩაში გასვლას. სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს ეს პრობლემა“.**

„იუნისეფის“ ინფორმაციით, პროგრამის ფარგლებში მომზადდნენ პროფესიონალები, რომლებიც ბავშვებს ადეკვატურ მომსახურებას გაუწევენ. დაარსდა ჯანდაცვისა და სოციალური ფონდი, რომელიც ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ჯანმრთელობისა და სოციალური საჭიროებების ხარჯებს დაფარავს. ფონდმა შეიძლება ერთჯერადი დახმარება გაუწიოს ქუჩაში მცხოვრები ბავშვების დაბრუნებას ბიოლოგიურ ოჯახებში.

# ინგილოების ბრძოლა ქართველობისთვის

## როგორ შეინარჩუნეს ჰერელებმა წმინდა გიორგის ეკლესია და რას ნიშნავს „გაქართველებული მუსულმანები“



ნათია ნოდია

**საინგილო საქართველოს მოკვეთილი ერთ-ერთი ნაწილია. იმის შედეგს, რომ წითელი რეჟიმის წლებში, ორჯონიკიძე ვერ ან არ აცნობიერებდა, რა შედეგებს მოიტანდა მშობლიური ქვეყნის ტერიტორიების ხელაღებით გასხვისება, ამ ტერიტორიების მკვიდრები, დღეს იმკიან — ისინი დედინაცვლის ხელში ჩავარდნილი გერივით შემოგვყურებენ, მიმიღეთ და შემიფარეთო. „ვერსია“ მსოფლიოში მიმოფანტული ქართველობის პრობლემების შესახებ ხშირად მოგითხრობთ. ამჯერად, ჩვენი სტუმარი, საინგილოში გაზრდილი, დედით ჰერელი 18 წლის გოგონა თამარ დუკაშვილია.**

— ხუთ წლამდე ვიზრდებოდი საინგილოს სოფელ კახში. მშვენიერი ბუნებაა, მაღალმთიანი, სუფთა ჰაერი — ეს გარემო ადამიანს ამშვიდებს. მოსიყვარულე ხალხი ცხოვრობს. მომწონს იქაურობა. მიყვარს საინგილო და მისი გულთბილი მკვიდრებიც. აქაც უყვართ სტუმარი, მაგრამ... თუ დრო გადაგიცდა, შუბლს შეგიკრავენ, იწუწუნებენ. ჰერები (ინგილოები) კი დაგვიანებული სტუმრობის გამო, არასოდეს გისაყვედურებენ. განსხვავდება ჩვენი და მათი საუბარი. ძველქართულად მეტყველებენ, ინგილოურ დიალექტზე. ქ-სა და ხ-ს შორის გარდამავალ ხორხისმიერ ხ-ს ამბობენ... თბილისიდან საინგილომდე, კერძოდ, კახამდე 250 კმ-ია. ავტობუსით მგზავრობას 5 საათი ვუნდებით. ბელაქანი, ზაქათალა უნდა გაიარო, მერე ნაკლებად ცნობილი სოფლებია ალი-ბეგლო, ალი-თემური...მერე კახსაც მისწვდები. პასპორტს, რა თქმა უნდა, საზღვარზე გთხოვენ — ლაგოდეხის ტერიტორიაზე. ზუსტად 2 საათში ხარ იქ. საზღვარზე რომ გაჩერებენ, ამას მიაქვს დიდი დრო და იმხელა მანძილია გასავლელი, შეიძლება, გული შეგიწუხდეს. დიდი საზღვარი გააკეთა აზერბაიჯანმა. არადა, განსაკუთრებული იქ არაფერი ხდება. ჩვენ კი, გაუსაძლის მდგომარეობაში ვვარდებით — ტვირთი საქართველოს საზღვრამდე უნდა ათრიო. ერთი საათი მაინცაა საჭირო ჩვენი საზღვრიდან საინგილომდე. მებაჟეებმაც უნდა გაგჩხრიკონ საგულდაგულოდ. მგზავრობა 12 ლარია. მათი ფულის ერთეული მანათია და კურსით ლამის ევროს უტოლდება.

**— ეთნიკურ ნიადაგზე კონფლიქტები ხდება ხოლმე?**

— უკვე ნაკლებად, თუმცა 10 წელი არ გავიდოდა მას შემდეგ, რაც წმინდა გიორგის ეკლესიაც „დაიპყრეს“. ადრე დავაც იყო, რომ მის ადგილას მეჩეთი აეშენებინათ. იმ პერიოდში ქართველებს ამ ტაძარში სალოცავად არ უშვებდნენ. ქართველებმა არ დათმეს, ეკლესია შეინარჩუნეს. მეტიც, ახლა უკვე ეგენიც ესწრებიან ქრისტიანულ წირვა-ლოცვას წმინდა გიორგის ტაძარში. მეჩეთებიც აქვთ, მაგრამ ასეთი საოცრება ნამდვილად ხდება. იკითხავთ, რანაირი მუსულმანებია ეგენიო?! ჩემი აზრით, „გაქართველებული მუსულმანები“. ზოგი მათგანი მეჩეთშიც დადის და ეკლესიაშიც. ეს ტაძარი მაღლობზეა და ყოველ გიორგობას ფეხშიშველები ავდივართ. ტრადიცია გვაქვს ასეთი. ეკლესიის გვერდზე დიდი ლოდი დგას, საიდანაც დაბლობს გადახედავ. იქაურ ხეობას, მთელ კახს ხელისგულივით დაინახავ. აქ ჩვენი ხალხი ცდილობს, თავისი უფლებები დაიცვას. იქ ძირითადად ოთარაშვილები, ჯანაშვილები, გამხარაშვილები, დუკაშვილები, ფოლადაშვილები... სახლობენ. დიდი სოფელია.

**— აზერბაიჯანელებთან თანაცხოვრება რთულია?**

— უკვე შეეწყვნენ ერთმანეთს. თავიდან შინ იყვნენ ჩაკეტილნი და ქართველებს ნაკლებად ეკონტაქტებოდნენ. გამოარჩევ ჩვენგან-მეთქი, ვერ ვიტყვი. ქალებს თავსაფარი ხურავთ (ძირითადად, უფროს თაობას) და კიდევ, ოქროს კბილები უყვართ. ზოგს ყველა კბილი ოქროსი აქვს. ისე, აზერბაიჯანული უფრო იციან იქაურმა ქართველებმა, ვიდრე მათ ჩვენებური, მაგრამ ზოგს ჩვენი ენა შესანიშნავად ესმის. მით უფრო, თუ ქართველის მეზობელია. ძალიან მოსიყვარულე ხალხია. შეურაცხყოფას არ მოგაყენებენ, ძალიან გვაფასებენ, ტყუილი არ იციან. შერეული ოჯახებიც არის. სკოლები არის, როგორც აზერბაიჯანული, ასევე ქართული.

**— ქართული სკოლები რა პრობლემების წინაშე დგას?**

— სახელმძღვანელოებია მოძველებული. ლამის ოცეული წლის წინანდელი პროგრამით სწავლობენ. არადა, როცა უმაღლეს განათლებაზე მიდგება საქმე, აზერბაიჯანელებიც კი თბილისში გამორბიან. იქაურ ქართულ სკოლებშიც სავალდებულოა თათრულის და რუსულის სწავლა. ინგილოები ემადლიერებიან ჩვენს უწმიდესს, რადგან მისი დამსახურებით, თბილისის პრესტიჟულ და ფასიან სკოლა-პანსიონატებში ინგილო ქართველებს უსასყიდლოდ ასწავლიან. იქაურებს გული სტკივათ, როგორც ილჰამ ალიევი აქცევს ყურადღებას თავისი ეროვნების ხალხს საქართველოში, გვსურს, საქართველოს მთავრობამაც ასევე მოგვაქციოს ყურადღებაო. აქ მრავალშვილიანი ოჯახები მრავლადაა და მათ აზერბაიჯანის ხელისუფლება მატერიალურად ეხმარება, განურჩევლად იმისა, ქართველია თუ აზერბაიჯანელი. ახალგაზრდები სულ აქეთ მოილტვიან. ალბათ, უფრო სოფლის სიძნელეებს გაურბიან. პრობლემაა საავადმყოფოებშიც — არც კადრები ჰყავთ კარგი და არც მომსახურებაა ისეთი, როგორც საქართველოში. სამაგიეროდ, ზაფხულია არაჩვეულებრივი — ხალხმრავლობა არაა, წყლის ხმაური ისმის, სიმშვიდეა. არის დაბა, ელისო ჰქვია, მთებსშორის მოქცეული წალკოტია. იქ სამკურნალო წყალიცაა, რევმატიზმებს და ბევრ გარეგან სნეულებას კურნავს. საინგილოში ზამთარიც გამორჩეულია. თოვლი იცის საოცარი, ბამბასავით. ახალ წელს მეზობლები ვიკრიბებით და ვერთობით.

**— რაიმე განსაკუთრებული წესები და ტრადიციები გაქვთ?**

— დეიდაჩემი რომ გავათხოვე, სიძეს ვუთხარი, მეუღლეს არ გაგატან, სანამ 100 ლარს არ მომცემ-მეთქი. ასე „გავყიდე“ დეიდა. როცა პატარძლის წასაყვანად მოდიან, კარზე დგება ერთი ვინმე ქალისიანი და სიძეს, უფრო მეტად კი მეჯვარეს ევაჭრება. ჯერ სიძეს ეკითხები: რამდენს მომცემ, რომ გაგატანო? ის გისახელებს თანხას. არ თანხმდები. დაგიმატებს... ისევ გიმატებს, სანამ არ შეთანხმდებიან. მერე გახსნი კარს და ქორწილი გრძელდება. ფულს ან სიძე იხდის, ან მეჯვარე. აი, ქორწილში უკვე ბიჭის მხარეს შეუძლია ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, ან რამე აქსესუარი მოპაროს და ამაში ფული გამოართვას პატარძლისიანებს. აქაც რამდენსაც გინდა, იმდენს იტყვი. შეიძლება ქათამი დამიკალიო — ამაზე შეთანხმდნენ. ტრადიციაა, ქორწილში ძველმანებს გადაიცვამენ და ასე, მასხრობით ცეკვავენ. ქორწილის დროს კედელზე ცომის მიკვრაც იციან. პატარძალს თავზე ბამბას ადებენ და კამფეტებს აყრიან, ასე ტკბილად დაგვიბერდითო. მურაბას აჭმევენ, უფრო ბლისას.

**— ბლის მურაბაზე გამახსენდა, რაიმე განსხვავებული კერძებიც იცით?**

— ქათმის ფლავს ხშირად აკეთებენ. სვირილი — ცომით მზადდება, ხარშავენ და ნივრიანი მაწვნით კმაზავენ; გირცი — ასე ხაჭოს ხინკალს უწოდებენ; დოვლა — მაწვნითა და კიტრით კეთდება, ჭიჭნაგური — ხორცით და სუნელებით; ისვრიმი — ალუბლით, ნივრითა და მწვანილებით... ჩაი უყვართ განსაკუთრებით. ფახლავა აქვთ ძალიან კარგი. ახლა ერთი კარგი რამ გამოიგონეს: ვინც 18 წლამდე დაქორწინდება ან გათხოვდება, ჯარიმას იხდის.



# საინგილოში ქართული სკოლები იხურება

## „მშობლიურ ენას სამუდამოდ დავკარგავთ და ქართველობასაც ვეღარ შევინარჩუნებთ!“



მერაბ ბერიძე
599-45-50-26

**საინგილოში შექმნილი ვითარება, ასიმილაციის რეალური საშიშროების გამო, აქტუალობას არ კარგავს. დღეს ყველაზე დიდი პრობლემის წინაშე იქაური ქართული სკოლა დგას — ადგილობრივი ადმინისტრაცია ყველაფერს აკეთებს, რომ მას ბოლო მოუღოს, ამ გზით ქართველებს მშობლიური ენა დაავიწყოს და ცნობიერება გაუმრუდოს. სანამ ოფიციალური თბილისი პრეზიდენტისა და პრემიერის უფლებამოსილებების გამიჯვნითაა დაკავებული, ინგილოები თანადგომასა და რეალური ნაბიჯების გადადგმას ითხოვენ... „ვერსიას“ ადგილობრივი პედაგოგი დაუკავშირდა და საინგილოში, ქართულ სკოლაში შექმნილ ვითარებაზე გვიამბო, თუმცა გვთხოვა, ობიექტური მიზეზების გამო, მისი ვინაობა არ გაგვემხილა.**

— ბოლო წლებში, საინგილოს ყურადღებას არავინ აქცევს. ეს ტენდენცია წინა ხელისუფლების დროს დაიწყო. 2004 წელს, გაუქმდა მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული საინგილოს საშეფო საბჭო, რომელსაც თავის დროზე თსუ-ს რექტორი, ნოდარ ამაღლობელი ხელმძღვანელობდა. ამ კომისიას ხელისუფლებისგან ჰქონდა მინიჭებული უფლება, სახელმწიფო ორგანოების წინაშე ნებისმიერი პრობლემა დაესვა და გადაეწყვიტა. მათ შორის, უპირველესად — ინგილო ქართველების სწავლა-განათლების საკითხი. მთავრობამ სასწავლო შეღავათებიც გააუქმა. ადგილობრივი პედაგოგების ჯგუფი მაშინვე ჩამოვედით და განათლების მაშინდელ მინისტრს, ალექსანდრე ლომაიას შევხვდით. კატეგორიული უარი გვითხრა ინგილო აბიტურიენტებისთვის რაიმე გამონაკლისის დაშვებაზე. ვერ გავაგებინეთ, რომ ჰერეთში სწავლის დონე უცბად ვერ ამაღლება. ამის შემდეგ, გაუქმდა თსუ-სთან არსებული ინგილო აბიტურიენტების ერთწლიანი მოსამზადებელი განყოფილება. თბილისმა საინგილოს სკოლებს ვერაფერი შესთავაზა. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე კი, ყოველწლიურად ერთი-ორი ბავშვი თუ ირიცხებოდა. პარალელურად, აზერბაიჯანში ქართული სახელმძღვანელოების შეტანა კიდევ უფრო გართულდა, ბოლოს, საერთოდ აიკრძალა. ადგილობრივი მასწავლებლები არ გადამზადებულან... ამ ყველაფრის შედეგია, რომ საინგილოს ქართული სექტორები და სკოლები რეალური დახურვის საფრთხის წინაშე დადგა. 12-ათასკაციანი დაბა ალიაბადის (ისტ. ელისენი, ზაქათალის რაიონი) 4 საშუალო სკოლიდან მხოლოდ ერთში შემორჩა ქართული სექტორი. ახალშობილებისთვის კვლავ იკრძალება ქართული სახელების დარქმევა, ისტორიული გვარების აღდგენაზე საუბარიც ზედმეტია. ჰერეთში კი არა, ინგილოებს თბილისში უჭირთ ისტორიული გვარების აღდგენა და საქართველოს მოქალაქეობის მიღება. ამ დროს, წლების განმავლობაში უამრავ გადამთიელ ბიზნესმენს ურიგებდნენ ქართულ პასპორტებს. მათ, ვინც საინგილოში ქართული პასპორტები აიღო, ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლები სახლში მიუცვივდნენ და წაართვეს — ორმაგი მოქალაქეობა არ გაქვთ და კანონს არღვევთო. მოვითხოვეთ, დაბა ალიაბადში ცალკე ქართული სკოლა გახსნილიყო. საკითხი საქართველოს პარლამენტის წინაშე დავაყენეთ, მაგრამ საქმე დაპირებას არ გასცდენია. სხვა გამოსავალი არ არის — თუ ცალკე სკოლა არ გვექნება, შერეული ტიპის სასწავლებელში, ქართული სექტორის შენარჩუნება გართულდება. თუ ოფიციალური თბილისი ქმედით ნაბიჯებს არ გადადგამს, მერე გვიანი იქნება. სახელმწიფო დონეზე ქართულ-აზერბაიჯანულ მეგობრობას მივესალმებით, მაგრამ სამწუხაროდ, ჰერეთის შემთხვევაში, ეს პოლიტიკა მხოლოდ საპირისპირო მიმართულებით ვითარდება.

**— პრობლემის გადასაჭრელად კონკრეტულად რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას?**

— თუ საინგილოში ქართული სკოლა დაიხურება, მშობლიურ ენას სამუდამოდ დავკარგავთ. არადა ეს, ქართველობის შენარჩუნების ერთგვარი გარანტიაა. ჰერელების ნაწილს საქართველოდან დახმარების იმედი დღემდე აქვს. ამას ჩვენც ვუწყობთ ხელს — ალიაბადში, მასწავლებლებმა, მცირე ხელფასით მიკროავტობუსი დავიქირავეთ (თვეში 200 დოლარი) სკოლაში მოსწავლეების მოსაყვანად. სასკოლო ჩანთები, სახელმძღვანელოები ვიყიდეთ და ჩუმად გადმოვიტანეთ აზერბაიჯანში. რაღაცებს კი აკეთებს დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი. მაგალითად, ზაფხულობით ინგილო მოსწავლეები ჩაჰყავთ დასასვენებელ ბანაკში, მაგრამ ეს არასაკმარისია. სამინისტროს წარმომადგენლები, ძირითადად, სკამების შენარჩუნებაზე ფიქრობენ, ამიტომ ცალკე ჯგუფი უნდა ჩამოყალიბდეს, რომელიც საინგილოს გამოწვევებსა და კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტაზე იმუშავებს. არ აქვს მნიშვნელობა, ჯგუფი რომელიმე სახელმწიფო სტრუქტურას დაექვემდებარება თუ დამოუკიდებლად იმუშავებს. მთავარია, ხელისუფლებისგან გარკვეული უფლებამოსილება ჰქონდეს. ხელისუფლებში მოსვლამდე, საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“, თბილისში საინგილოს დიასპორის წარმომადგენლებს დაპირდა, რომ ასეთი ჯგუფი ჩამოყალიბდებოდა, მაგრამ არჩევნების შემდეგ, ეს საკითხი არავის გახსენებია. კარგია, რომ თურქეთში ოფიციალურად დართეს ნება, სკოლებში ქართული ენა შეისწავლონ. მსგავსი ტენდენცია ირანსა და ფერეიდანში შეინიშნება. ამ დროს, აქვე, მდინარე ალაზნის მეორე მხარეს, ქართველებს სკოლას, მშობლიურ ენას ართმევენ და ხმის ამომღები არავინაა.






# ექსკურსია ნაგავსაყრელზე

აშშ-ში, ქალაქ ჰოლი-სპრინგის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ექსკურია მოაწყოს ადგილობრივ სანაგვეზე. მომსახურება იმდენად მოთხოვნადი აღმოჩნდა, რომ საექსკურსიო ჯგუფებში ადგილები ორი თვით ადრე გაიყიდა. ქალაქის ნარჩენების უტილიზაციაზე პასუხისმგებელი პირის, ჯონ რობერტსონის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ სანაგვე არ მიიჩნევა მიმზიდველ ობიექტად, მაინც გადაწყვიტეს, „ნეგატივიდან მეტი პოზიტივი“ მიეღოთ. პროექტის მიზანია, ადამიანები დავარწმუნოთ, რომ ნარჩენების მაქსიმალური რაოდენობის გადამუშავებას ეცადონ, — აღნიშნავს რობერსტონი, აღსანიშნავია ისიც, რომ ექსკურსია უფასოა, თან სანახაობა საინტერესოა, რადგან ნაგვის გადამუშავებისას თანამედროვე ტექნოლოგიები გამოიყენება, უტილიზაცია კი ეკოლოგიური უსაფრთხოების სრული დაცვით ხდება.

# თანამშრომლებს შვებულებას არ უზღუდავს

თანამშრომლებს შეუზღუდავი შვებულებით სარგებლობის უფლება მისცა კომპანია Virgin Group-ის მფლობელმა რიჩარდ ბრენსონმა. საკუთარ ინტერნეტ-გვერდზე დაწერა, რომ სათავო კომპანიის მუშაკებს შეუძლიათ წავიდნენ შვებულებაში როცა მოისურვებენ და რამდენ ხანსაც მოუნდებათ. მილიარდერი ბიზნესმენი აღნიშნავს, რომ აზრი არ აქვს, თანამშრომლებმა უფროსობას სთხოვონ ან აცნობონ, როდის დაბრუნდებიან სამსახურში. იგი დარწმუნებულია, რომ ადამიანს შეუძლია თავად განსაზღვროს, როდის არ მიაყენებს ზიანს მისი არყოფნა კარიერასაც და ბიზნესსაც. საკუთარ დაქირავებულებთან ასეთი მიდგომის პოლიტიკას ბრენსონი იმით ხსნის, რომ დარწმუნებულია თანამშრომლებში და თანაც ნორმირებულმა სამუშაო დღემ თუ შვებულების გრაფიკმა უკვე ამოწურა თავი, რადგან ეკონომიკურად არახელსაყრელია კომპანიებისთვის და მოუხერხებელი — სპეციალისტებისთვის. შვებულების თაობაზე გადაწყვეტილებას თანამშრომელი იღებს — როცა გრძნობს, რომ სჭირდება რამდენიმე საათი, დღე, კვირა ან თვე დასვენება. იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ასეთ გადაწყვეტილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ 100%-ით დარწმუნებულია, მისი არყოფნა სამსახურში საქმეს არ ავნებს, — ამბობს მილიარდერი. ასეთი მიდგომით, მათ პირადი საქმეების მოგვარების დრო ექნებათ, სამსახურში კი მარტო საქმეზე იფიქრებენო. რიჩარდ ბრენსონი ბრიტანეთში ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანია, მის კორპორაციაში სხვადასხვა პროფილის 4000-მდე კომპანიაა და 50 ათასამდე თანამშრომელი ჰყავს. ცოტა ხნის წინ ბრენსონი ბოლო 50 წლის საუკეთესო ხელმძღვანელად აღიარეს. ბიზნესმენი ექსტრავაგანტული საქციელითაცაა ცნობილი — შარშან ბორტგამცილებლის უნიფორმა მოირგო და საკუთარი კონკურენტის რეისზე იმუშავა.



Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 2 | | 4 | | | |
| 7 | 4 | | | 9 | 1 | | | |
| 3 | 1 | | | 6 | | | | 2 |
| 5 | 3 | 1 | 7 | | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | | 6 | 9 | 5 | 3 |
| 6 | | | | 2 | | | 7 | 1 |
| | | | 9 | 1 | | | 3 | 6 |
| | | | 6 | | 7 | | | |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 4 | | 3 | | 5 | | 2 | |
| | | | | | | | | |
| 7 | 5 | | 9 | | 8 | 4 | 3 | |
| | | 8 | | | | | 7 | 9 |
| | | | | 3 | | | | |
| 2 | 6 | | | | | 1 | | |
| | 3 | 7 | 5 | | 9 | | 8 | 4 |
| | | | | | | | | |
| | 8 | | 2 | | 6 | | 5 | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 4 | 9 | 3 | | | |
| | 2 | | | | | | | 4 |
| | | | | | 5 | | | 3 |
| | 9 | | 3 | | 4 | | 8 | 6 |
| 8 | 7 | | | 1 | | | 3 | 9 |
| 5 | 3 | | 9 | | 6 | | 1 | |
| 9 | | | 2 | | | | | |
| 7 | | | | | | | 4 | |
| | | | 8 | 3 | 9 | | | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | | 5 | | | | | |
| 1 | | 8 | 4 | | | 2 | 7 | |
| | | 4 | | 9 | | 6 | | |
| | 7 | | | | 4 | 3 | | |
| 5 | | | | 7 | | | | 6 |
| | | 1 | 9 | | | | 5 | |
| | | 7 | | 4 | | 8 | | |
| | 8 | 9 | | | 2 | 5 | | 7 |
| | | | | | 9 | | | 2 |



## სამაჯური სიმთვრალეს შეგატყობინებთ

სიახლეა ალკოჰოლის მოყვარულებისთვის — ვისაც სურს, იმდენი არ დალიოს, რომ მერე აღარაფერი ახსოვდეს, ამ პრობლემას სამაჯური, „ვივი" მოგიგვარებთ, რომელიც დეჰიდრაციის დონეს აფიქსირებს და სისხლში ალკოჰოლის შემცველობას გამოთვლის. მსუბუქი შენჯღრევის შემდეგ თუ სამაჯური „გეტყვით", რომ თქვენს ორგანიზმში ალკოჰოლის რაოდენობა სტანდარტულია, შეგიძლიათ სმა განაგრძოთ, თუ არა — ეს ნიშნავს, რომ დალევას უნდა შეეშვათ და ტაქსი გამოიძახოთ. შეგიძლიათ სამაჯური მეგობრებსაც უყიდოთ. მოწყობილობას მონაცემების ერთმანეთში გაცვლა შეუძლია და, თუკი ერთ-ერთი მათგანი ძალიან დათვრება, სამაჯური შეგატყობინებთ, თქვენ კი გეცოდინებათ, რომ მეგობარს დახმარება სჭირდება.

## ტვინიდან 15 სიმსივნე ამოკვეთეს

შოკისმომგვრელი ოპერაცია ჩაუტარდა ლორა ფიშერს, სამი შვილის დედას, რომელიც წლების განმავლობაში კისრის ტკივილით იტანჯებოდა. ერთ დღეს ექიმთან მისვლა გადაწყვიტა, გამოკვლევების შედეგები კი როგორც პაციენტის, ისე მედიკოსებისთვის გამაოგნებელი აღმოჩნდა — ლორას ტვინში 15 სიმსივნური წარმონაქმნი ჰქონდა. სპეციალისტების ინფორმაციით, ქალის გადარჩენის ერთადერთი გზა სასწრაფო ქირურგიული ჩარევა იყო. გარდა სიმსივნის რაოდენობისა, ოპერაციის სირთულე კიდევ იმაში მდგომარეობდა, რომ პაციენტს მთელი ამ დროის განმავლობაში უნდა ესაუბრა, ექიმებს მისი მეხსიერების უჯრედების გაკონტროლება რომ შეძლებოდათ. შესაბამისად, ქალი ოპერაციისას ფხიზლად იყო. ეს მძიმე პროცედურა, რომელიც ნახევარ დღეს გაგრძელდა, საბოლოოდ წარმატებით დასრულდა. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ოპერაცია იშვიათია მსოფლიო მედიცინაში. ლორას, ექიმების განცხადებით, სიცოცხლე, სულ ცოტა, 15 წლით მაინც გაუხანგრძლივდა, ოპერაცია კი, დაახლოებით 150 ათასი დოლარი დაჯდა.






## ამერიკაში დაყრჭანლობა კანონით ისჯება

აშშ-ს ქალაქ ბიუერინის ხელისუფლებამ მიიღო კანონი, რომელმაც ადგილობრივების უკმაყოფილება გამოიწვია. ახალი კანონით იკრძალება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში იმ ადამიანების გამოჩენა, რომელთაც ცუდი სუნი უდით. ქალაქის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს ინიციატივა ადგილობრივების კომფორტსა და სიმშვიდეს უზრუნველყოფს. პირადი ჰიგიენის დაუცველობა მოქალაქეებს სერიოზული ჯარიმით ემუქრება. გარდა ამისა, მსხვილი თანხით დაჯარიმდებიან ბილწსიტყვაობის მოყვარულებიც. ახალი კანონი, ერთი მხრივ, მოქალაქეების კეთილდღეობაზე ზრუნავს, თუმცა არის მეორე მხარეც და ბევრი უკმაყოფილოა სიახლით. ადამიანის უფლებათა დამცველებიც პროტესტს გამოთქვამენ და აცხადებენ, რომ კანონი ანტიკონსტიტუციურია და უსახლკაროების უფლებებს არღვევს.

## ინსულტი ადამიანის მორალურ პრინციპებს ცვლის

არგენტინელი სწავლულები ნევროლოგიის ინსტიტუტიდან ერთ საინტერესო დასკვნამდე მივიდნენ — ინსულტის შემდეგ ბევრ პაციენტში ფასეულობათა გადაფასება მიდის, ადამიანი იცვლის პირვანდელ აზრს ამა თუ იმ მოვლენასა და სხვათა ქმედებაზე. სპეციალისტების ექსპერიმენტი პირველია ამ სფეროში, რომელიც სამყაროსა და მორალურ პრინციპებზე ინსულტის გავლენას აჩვენებს. ბუენოსაირესელი მკვლევარების ცდებმა ცხადყო, რომ დარღვევები ტვინში გავლენას ახდენს ადამიანის შეხედულებაზე. ინსულტის შემდეგ, რომელიც ტვინის ფრონტალურ ნაწილს შეეხო, პაციენტები ხშირად პატიობდნენ სხვებს შეცდომებს და უფრო ლოიალურები იყვნენ, ვიდრე ადრე.

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 1 | 4 | 9 | 8 | 7 | 5 | 3 | 2 |
| 8 | 3 | 9 | 6 | 2 | 5 | 1 | 7 | 4 |
| 7 | 5 | 2 | 1 | 3 | 4 | 9 | 8 | 6 |
| 9 | 4 | 3 | 7 | 1 | 2 | 8 | 6 | 5 |
| 2 | 8 | 7 | 5 | 4 | 6 | 3 | 1 | 9 |
| 1 | 6 | 5 | 8 | 9 | 3 | 4 | 2 | 7 |
| 5 | 7 | 8 | 4 | 6 | 1 | 2 | 9 | 3 |
| 4 | 2 | 1 | 3 | 7 | 9 | 6 | 5 | 8 |
| 3 | 9 | 6 | 2 | 5 | 8 | 7 | 4 | 1 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 9 | 5 | 4 | 3 | 2 | 1 | 7 | 6 |
| 3 | 6 | 4 | 1 | 7 | 5 | 2 | 9 | 8 |
| 2 | 1 | 7 | 9 | 8 | 6 | 5 | 3 | 4 |
| 5 | 2 | 8 | 7 | 9 | 4 | 6 | 1 | 3 |
| 1 | 7 | 3 | 6 | 5 | 8 | 4 | 2 | 9 |
| 6 | 4 | 9 | 3 | 2 | 1 | 8 | 5 | 7 |
| 7 | 8 | 1 | 5 | 6 | 9 | 3 | 4 | 2 |
| 9 | 5 | 2 | 8 | 4 | 3 | 7 | 6 | 1 |
| 4 | 3 | 6 | 2 | 1 | 7 | 9 | 8 | 5 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 3 | 6 | 2 | 1 | 5 | 9 | 8 | 7 |
| 2 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 |
| 8 | 7 | 5 | 3 | 4 | 9 | 2 | 1 | 6 |
| 6 | 5 | 3 | 4 | 9 | 2 | 1 | 7 | 8 |
| 1 | 4 | 2 | 7 | 8 | 3 | 6 | 5 | 9 |
| 9 | 8 | 7 | 6 | 5 | 1 | 4 | 3 | 2 |
| 7 | 9 | 4 | 1 | 6 | 8 | 3 | 2 | 5 |
| 5 | 2 | 8 | 9 | 3 | 4 | 7 | 6 | 1 |
| 3 | 6 | 1 | 5 | 2 | 7 | 8 | 9 | 4 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 8 | 5 | 2 | 4 | 9 | 7 | 6 | 1 |
| 4 | 7 | 2 | 3 | 1 | 6 | 9 | 5 | 8 |
| 1 | 9 | 6 | 8 | 7 | 5 | 4 | 3 | 2 |
| 5 | 1 | 8 | 4 | 9 | 7 | 6 | 2 | 3 |
| 2 | 6 | 4 | 5 | 8 | 3 | 1 | 9 | 7 |
| 9 | 3 | 7 | 6 | 2 | 1 | 8 | 4 | 5 |
| 8 | 5 | 3 | 7 | 6 | 4 | 2 | 1 | 9 |
| 7 | 4 | 1 | 9 | 5 | 2 | 3 | 8 | 6 |
| 6 | 2 | 9 | 1 | 3 | 8 | 5 | 7 | 4 |

მე-10 გვერდი: 1. აქცენტი; 2. გასპაჩო; 3. ასკერი; 4. ცენტურია; 5. ნიაგარა; 6. ინია; 7. „გარაჟი"; 8. „სიტროენი"; 9. აირტონ; 10. ოვალი; 11. სკანდალი; 12. ადათი; 13. ნაგოია; 14. უემბლი; 15. ორატორია; 16. გრიბოედოვი; 17. რკინა; 18. დაიმი; 19. ჯერარდი; 20. ბრაუნაუ; 21. უჟგოროდი; 2. ანკერი; 23. ექო; 24. მაგია; 25. უთო; 26. „პორტუ"; 27. იანი; 28. ბებუთი; 29. ტიკი; 30. ოინა; 31. ბინომი; 32. ქოთაო; 33. კატა; 34. აიოვა; 35. უბე; 36. ორინოკო; 37. გნუ; 38. ერატო; 39. აზატი; 40. ურვა; 41. ერბო; 42. იეტი; 43. შტილი; 44. ტირი; 45. გეენა; 46. ზარანდია; 47. კაფია; 48. ფინტი; 49. იუტა; 50. ანი; 51. ტენტორიუმი; 52. პოუპა; 53. ტატუ; 54. ვილა; 55. ვალტორნა; 56. პიერ; 57. ლუპა; 58. შოუ; 59. შობა; 60. ბუ; 61. არე; 62. სინაი; 63. ოლბია.

მე-12 გვერდი: 1. ჰაკერი; 2. ალვირი; 3. ემოცია; 4. ბრაილი; 5. რევიუ; 6. იეთიმ; 7. ავრორა; 8. გნომონი; 9. აბერაცია; 10. ყვითრი; 11. ალხასტაისძე; 12. თორა; 13. ჯამი; 14. ორგია; 15. შუამთა; 16. ბუხარი; 17. არაუკო; 18. ალიზი; 19. ლამარია; 20. ავადმყოფობა; 21. უბანი; 22. მიმი; 23. ლოუ; 24. ოვარინი; 25. მიუნჰაუზენი; 26. მაუგლი; 27. მარაო; 28. ასლი; 29. ილი; 30. დაცანი; 31. გურუ; 32. ტუში; 33. მიდია; 34. დია; 35. გენა; 36. კატო; 37. რომი; 38. მასა; 39. ჰილზი; 40. იორი; 41. ყური; 42. საარი; 43. ვარძია; 44. რამპა; 45. ინინი; 46. აიკიდო; 47. ტოლმა; 48. ტრაპი; 49. პიერი; 50. ბოვარი; 51. ლითიუმი; 52. ლირი; 53. ატა; 54. ბუზი; 55. ეკი; 56. ალაფი; 57. აარონი; 58. ტლანქი; 59. კაკაო; 60. კაენი; 61. ედემი; 62. ტატუ; 63. ტორტი; 64. ტაქსა; 65. ანტვერპენი; 66. ადიდა; 67. კვახი; 68. ხმალა; 69. ბია; 70. რასა; 71. კალია; 72. ემუ; 73. ტომ; 74. ფარა; 75. ურა; 76. პკე; 77. მალა; 78. აგორა; 79. სინტო; 80. უმა; 81. კარე; 82. ურგა; 83. ქონი; 84. საკე; 85. ალა; 86. კურკა; 87. სეიმი; 88. ეფა; 89. კორიფე.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული
მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა
და ინფორმაციის სიზუსტეზე
პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის
შემთხვევაში დაგვიკავშირდით
14 დღის განმავლობაში.

# 132 წელი ქვეყნის სამსახურში

მიმდინარე წლის 10 სექტემბერს, ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის გამზირის #32-ში, „საქართველოს ვაგონმშენებელთა ჰოლდინგში“ გაერთიანებული საწარმოების: თბილისის „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“, რუსთავის „ვაგონმშენებელი კომპანიისა“ და რუსთავის „მეტალურგიული კომბინატის“ მიერ სერიულად წარმოებული რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის, სატვირთო ვაგონებისა და წარმოებაში დასანერგად მომზადებული ახალი ტიპის ვაგონების პრეზენტაცია გაიმართა.

ჰოლდინგში შემავალი საწარმოები, რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის მომსახურებას უკვე 132 წელია ეწევიან და ამიერკავკასიის, შუა აზიის რესპუბლიკების რკინიგზებსა და კერძო სტრუქტურებს ემსახურებიან. ქვეყანაში ვაგონმშენებლობის განვითარების პოლიტიკას ვაგონმშენებელთა ჰოლდინგი წარმართავს. ჰოლდინგის დამფუძნებელ საწარმოებში, ახალი ტიპის ჩქაროსნული სამგზავრო, სატვირთო ვაგონების, ხორბალმზიდების, ვაგონცისტერნების, ნახევარვაგონების, ცემენტმზიდების, კონტეინერმზიდების წარმოებაა დანერგილი, რაც ქვეყნის მაშტაბით, სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობის განახლებას, მეზობელ სახელმწიფოებში მგზავრების კომფორტულად გადაყვანას, ტვირთბრუნვისა და შესაბამისად, ბიუჯეტში შენატანების ზრდას ემსახურება.

აღსანიშნავია, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში, რუსეთისა და უკრაინის შემდეგ, საქართველო მესამე ქვეყანაა, რომელიც რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის სატვირთო ვაგონების ყველა ძირითად ტიპს აწარმოებს.

პრეზენტაციაზე, საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, დიპლომატიური კორპუსის, მასმედიის წარმომადგენლები, ბიზნესმენები, ეკონომიკის ექსპერტები, სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების, ბალტიისპირეთისა და საქართველოს, რკინიგზის ტრანსპორტის უფლებამოსილი სპეციალისტების საბჭოს წევრები, „ვაგონმშენებელთა ჰოლდინგში“ გაერთიანებული საწარმოების მიერ, რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის განახლებისთვის გამოშვებული პროდუქციის ფართო სპექტრს გაეცნენ, რამაც მაღალი შეფასება დაიმსახურა.

დღესდღეობით, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ნახევარ მილიონამდე სატვირთო ვაგონების დეფიციტია, აქედან გამომდინარე, ვაგონმშენებლობა ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. გატარებულია დამატებითი ღონისძიებები საწარმოო სიმძლავრეების სრულად ამოქმედებისათვის, რაც დასაქმების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, დასაქმებულთა რიცხვს 2000-დან 3 000 -მდე გაზრდის.

მიმდინარე წლისთვის, ასევე დაგეგმილია, 20-40 ფუტიანი საზღვაო კონტეინერების, სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი მრეწველობისათვის საჭირო დაზგა-დანადგარების, ღვინის ქარხნებისათვის ცისტერნებისა და მოწყობილობების, აგრეთვე სამგზავრო და სამრეწველო ლიფტების წარმოება.

შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, ქვეყანაში მძიმე მრეწველობის ამ მეტად მნიშვნელოვანი დარგის განვითარებისთვის.




*ბადრი წილოსანი - საქართველოს,,ვაგონმშენებელთა ჰოლდინგის" პრეზიდენტი*




*მამუკა ბახტაძე - ,,საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორი*



*ერნსტ ბუდეშტსკი - ქარხნის მთავარი ტექნოლოგი, ნინო წილოსანი - საქართველოს ,,ვაგონმშენებელთა ჰოლდინგის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე*



*გიორგი არეშიძე - შპს ვაგონმშენებელი კომპანიის გენ. დირექტორი, მამუკა ბახტაძე - ,,საქართველოს რკინიგზის" გენ. დირექტორი, გურამ რატიანი - სს. ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის დირექტორი*





GCBH
საქართველოს ვაგონმშენებელთა ჰოლდინგი
Georgian Carriage Builders Holding

ვაგონმშენებელი კომპანია
Carriage Building Company
VMK

0180 საქართველო, ქ. თბილისი
ცოტნე დადიანის ქ.32
ტელ. (ფაქსი): +995 32 69 92 98
www.elvagon.ge